ქართველობის გადასარჩენად

# ილორი



«ის კი არაა სირცხვილი, რომ მეგრულად საუბრობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენ ქართველებს არ გვესმის მეგრული», — აკაკი შანიძე.

№498 (557) 21 აპრილი - 11 მაისი 2021 წ. სახალხო მოძრაობა «სამეგრელოს» ორგანო ფასი 50 თეთრი





# გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

## უფალმა დალოცოს სრულიად საქართველო!

# 9 მაისი ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღეა!

## სტალინის სტრატეგიისა და ტაქტიკის დიადი გამარჯვება მოსკოვის მისადგომებთან

8-9





## ენგურს შეწირული ადამიანები და პანაშვიდები გამოღმა ნაპირზე

5





## ვინ ინახავს მზეს გოგრაში და რატომ ათესინებდნენ მას «მრგვალი ფორმების» მქონე ქალებს ძველ სამეგრელოში?

10-11



## ქვეყანაში 7 დღიანი უქმე დღეები გამოცხადდა

3





# «უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ავღანეთი არასდროს გახდეს ტერორისტების თავშესაფარი და ვამაყობთ, რომ საკუთარი წვლილი შევიტანეთ ამ მიზნის მიღწევაში»

**„ნატო-მ მიიღო გადაწყვეტილება, ავღანეთის მისიის ეტაპობრივად, მიმდინარე წლის სექტემბრამდე დასრულების შესახებ. შესაბამისად, ნატო-სთან შეთანხმებული გრაფიკით, ავღანეთს დატოვებენ ქართული ქვედანაყოფებიც“, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი სოციალურ ქსელში წერს.**

მისი თქმით, ავღანეთიდან ქართული კონტიგენტის გამოსვლა აშშ-სთან კოორდინაციით მოხდება.

„საქართველოს, მრავალი წელია, ღირსეული წვლილი შეაქვს მსოფლიო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. ჩვენი მებრძოლები აქტიურად მონაწილეობენ ნატო-სა და ევროკავშირის ეგიდით მიმდინარე სამხედრო ოპერაციებსა და მისიებში. საქართველო პირველად 2004 წელს ჩაერთო და ბოლო ათი წლის განმავლობაში უწყვეტად მონაწილეობდა ავღანეთში მიმდინარე ნატო-ს მისიაში. ჩვენი ქვეყანა RSM-ის მისიის ერთ-ერთი უმსხვილესი კონტრიბუტორია. 860 ქართველი სამხედრო დღესაც მსახურობს ავღანეთში ნატო-ს კონტინგენტის შემადგენლობაში.

ავღანეთში ჩვენმა სამხედროებმა არაერთგზის დაამტკიცეს, რომ საქართველოს შეუძლია, ღირსეულად იტვირთოს კოლექტიური თავდაცვის პასუხისმგებლობა. ეს არსებითია ჩვენი სტრატეგიული მიზნის — ნატო-ს სრულფასოვანი წევრობის მისაღწევად.

დღეს ნატო-მ მიიღო გადაწყვეტილება, ავღანეთის მისიის ეტაპობრივად, მიმდინარე წლის სექტემბრამდე დასრულების შესახებ. შესაბამისად, ნატო-სთან შეთანხმებული გრაფიკით, ავღანეთს დატოვებენ ქართული ქვედანაყოფებიც. ჩვენ ინტენსიური კონსულტაციები გვაქვს ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორთან — აშშ-სთან. ავღანეთიდან ქართული კონტიგენტის გამოსვლა მათთან კოორდინაციით მოხდება.

საქართველოსთვის, როგორც საერთაშორისო თანამეგობრობის წევრისთვის, უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ავღანეთი აღარასდროს გახდეს ტერორისტების თავშესაფარი და ვამაყობთ, რომ საკუთარი წვლილი შევიტანეთ ამ მიზნის მიღწევაში.

დიდ მადლობას ვუხდი თითოეულ ქართველ სამხედროს, ვინც სხვადასხვა პერიოდში ამ ურთულეს და საპასუხისმგებლო მისიაში მონაწილეობით ღირსეული წვლილი შეიტანა საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესში.

განსაკუთრებულ პატივს მივაგებთ ავღანეთის მისიაში დაღუპულ სამხედროებს, იმ ქართველ გმირებს, ვინც ყველაზე ძვირფასი — საკუთარი სიცოცხლე გაიღო მსოფლიოში მშვიდობისა და უსაფრთხოების განმტკიცებისათვის. ქედს ვიხრით მათი ნათელი ხსოვნის წინაშე“, — წერს ირაკლი ღარიბაშვილი.

**ცნობისთვის,** აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ენტონი ბლინკენის განცხადებით, ნატოს მისიაში მყოფი უცხოელი ჯარისკაცები ავღანეთს აშშ-სთან ერთად 11 სექტემბრისთვის დატოვებენ.

**„ინტერპრესნიუსი“**



# ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ რიგგარეშე სხდომაზე, ქალაქ ზუგდიდის გენერალური გეგმა და ცენტრალური უბნის განაშენიანების გეგმა დაამტკიცა

**„საკრებულოს სხდომას ჩემს მოადგილე კონსტანტინე კაკავასთან და „არტსტუდიო პროექტის“ წარმომადგენლებთან ერთად ვესწრებოდი.**

ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი დოკუმენტი მუნიციპალიტეტისთვის, ვინაიდან ჩვენ გვექნება შესაძლებლობა გრძელვადიან პერსპექტივაში დავინახოთ მუნიციპალიტეტის განვითარება და ხელი შევუწყოთ ქალაქის ურბანულ წინსვლას. დოკუმენტის შემუშავებაში ჩართული იყვნენ მოქალაქეები, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები და ყველა ის დაინტერესებული პირი, ვისაც სურვილი ჰქონდა ჩართულიყო პროცესში და მიეღო მონაწილეობა საკითხის განხილვაში. პროექტი მოიცავს, ქალაქ ზუგდიდის მდგრადი განვითარების წინაპირობების შექმნას, სატრანზიტო სატრანსპორტო ნაკადებით გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედების შემცირებას, ადმინისტრაციულ-საზოგადოებრივი ცენტრის ფორმირებას, ქალაქის ცენტრალურ უბნებისა და ქუჩების განაშენიანების მოწესრიგებას, კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების დამცავი ზონების დადგენას, საზოგადოებრივი სივრცეების დადგენას და განვითარებას, შეზღუდული ტერიტორიული რესურსების ფონზე მზარდი სამშენებლო საქმიანობების მართვას, ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების განვითარების პრიორიტეტების დადგენას“, — აცხადებს ზუგდიგის მერი, გეგა შენგელია.

მისივე თქმით, ქალაქის გენგეგმა „არტსტუდიო პროექტმა“ შეადგინა, რომელმაც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ტენდერში გაიმარჯვა.

ქალაქ ზუგდიდის გენერალური გეგმის საჯარო განხილვა რამდენჯერმე გაიმართა.

# კონსტანტინე ფილია: გალის მოსახლეობას საქართველოში უპრობლემოდ გადასვლის საშუალება უნდა ჰქონდეს

**ოკუპირებული გალის რაიონის ე.წ. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კონსტანტინე ფილიას აზრით, გალის მოსახლეობას ენგურზე უპრობლემოდ გადასვლის საშუალება უნდა ჰქონდეს. ამის შესახებ ფილიამ ჟურნალისტებს განუცხადა.**

„საუბარია მხოლოდ გალის რაიონის მოსახლეობაზე. ესენი არიან ადამიანები, რომელთაც ყველა სახეზე იცნობს, ზოგიერთს საქართველოში ნათესავები ჰყავთ, ზოგიერთი იქ სხვადასხვა პროდუქციის შესაძენად მიდის. არც მათ, არც მათ ნათესავებს 1992-1993 წლების ომში მონაწილეობა არ მიუღიათ. ეს ჩვენი ხალხია და მათ პრობლემები არ უნდა შევუქმნათ“, — განაცხადა ფილიამ.



მან მოსახლეობას მოუწოდა, რომ ენგურზე მდინარით გადასვლას ნუ შეეცდება. გალის ადმინისტრაციის უფროსის განცხადებით, ენგურზე ჰიდროელექტროსადგური მდებარეობს და იქ წყლის დონე მუდმივად იცვლება, შესაბამისად მდინარეში ჩასვლა დიდ საფრთხესთან არის დაკავშირებული.



# საარსებო მინიმუმი შემცირდა — საქსტატის მონაცემებით, თვეში საშუალო მომხმარებელს მინიმუმ 178 ლარი სჭირდება

**მარტში საარსებო მინიმუმი შემცირდა და საშუალო მომხმარებლის არსებობისთვის საჭირო მინიმალური თანხის ოდენობა 178,1 ლარით განისაზღვრა — ეს 4,5 ლარით ნაკლებია გასული წლის შესაბამისი თვის მონაცემთან შედარებით.**

საარსებო მინიმუმის შესახებ განახლებული ინფორმაცია საქსტატმა გამოაქვეყნა. კვლევაში, ასევე, აღნიშნულია, რომ მარტში “შრომისუნარიანი მამაკაცის” საარსებო მინიმუმი 5,1 ლარით, 201 ლარამდე შემცირდა.

რაც შეეხება წინა თვესთან შედარებას, მარტში, მიმდინარე წლის თებერვალთან შედარებით, საარსებო მინიმუმი საშუალო მომხმარებლისთვის 3,4 ლარით, ხოლო „შრომისუნარიანი მამაკაცის“ 3,8 ლარით გაიზარდა.

მინიმალური სასურსათო კალათა 40 დასახელების პროდუქტს მოიცავს. საარსებო მინიმუმის ღირებულებაში სასურსათო ხარჯების წილი 70%-ით, ხოლო არასასურსათო ხარჯების წილი 30%-ით განისაზღვრება.

საქსტატი, 2004 წლიდან, საარსებო მინიმუმის მაჩვენებლებს იმ მინიმალური სასურსათო კალათის მიხედვით ანგარიშობს, რომელიც განსაზღვრულია და დადგენილია „საკვებ ნივთიერებებსა და ენერგიაზე ორგანიზმის ფიზიოლოგიური მოთხოვნილებებისა და საარსებო მინიმუმის განსაზღვრისათვის საჭირო სასურსათო კალათის შემადგენლობის ნორმებისა და ნორმატივების დამტკიცების შესახებ“ — საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების შესაბამისად.

აღსანიშნავია, რომ მარტში საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობა 18,2%-ით გაიზარდა. სოციალური მომსახურების სააგენტოს ინფორმაციით, საქართველოში 151 ათასი ოჯახი შემწეობას იღებს. ბოლო მონაცემებით, მხოლოდ სოციალური დახმარების მიმღებთა რაოდენობამ 541764 შეადგინა — ეს საქართველოს მოსახლეობის 14,5%-ია.

# ქვეყანაში 7 დღიანი უქმე დღეები გამოცხადდა — მთავრობამ დადგენილება უკვე გამოსცა




**მთავრობამ უქმე დღეებთან დაკავშირებით, დადგენილება გამოსცა.**

დოკუმენტის თანახმად, 4-დან 8 მაისის ჩათვლით და 10-11 მაისი საქართველოს მასშტაბით, უქმე ანუ დასვენების დღეებად გამოცხადდა.

შეგახსენებთ, რომ ეს უკვე მეორე შემთხვევაა მიმდინარე წელს, როდესაც მთავრობა ეპიდსიტუაციიდან გამომდინარე უქმე დღეებს აცხადებს ქვეყანაში. აქამდე დასვენების დღეები 2 კვირით, წლის დასაწყისში, 3 იანვრიდან 6 იანვრის ჩათვლით და 8 იანვრიდან 15 იანვრის ჩათვლით იყო გამოცხადებული.

მართალია, ჯერ არ გამოქვეყნებულა მთავრობის დადგენილება, რომელშიც განსაზღვრული იქნება თუ რომელ საქმიანობებს შეეხება ან არ შეეხება უქმე დღეები, თუმცა, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ როგორც წინა შემთხვევაში, ამჯერადაც, საქმიანობათა ჩამონათვალი, რომლებსაც შეუძლიათ უქმე დღეების პერიოდში ჩვეულ რეჟიმში გააგრძელონ ფუნქციონირება, შემდეგი იქნება:

პირველადი ჯანდაცვის და სტაციონარული სამედიცინო საქმიანობის მიმწოდებელი დაწესებულებები;

ის სამედიცინო საქმიანობის მიმწოდებლები, რომლებიც მომსახურებას ახორციელებენ კოვიდ-19 პრევენციის, დიაგნოსტიკისა და მართვის ღონისძიებებს, დაფინანსების წყაროს მიუხედავად;

ფარმაცევტული საქმიანობა;

სურსათის/ცხოველის საკვების წარმოება, დისტრიბუცია, რეალიზაცია;

საავტომობილო, სარკინიგზო და საჰაერო სატვირთო გადაზიდვები. ასევე, სანავსადგურე, სააეროპორტო და სანავიგაციო მომსახურება;

წყალმომარაგების საქმიანობა, ელექტროენერგიის გენერაცია, ელექტროენერგიისა და გაზის გადაცემა, განაწილება, მიწოდება და ვაჭრობა. ასევე, ნავთობისა და გაზის მოპოვების ოპერაციები;

საფოსტო და საკურიერო მომსახურება;

პირების სავალდებულო კარანტინში განთავსებასთან, ტრანსპორტირებასთან, კვებასთან, დასუფთავებასთან, უსაფრთხოებასა და საკარანტინო პერიოდში სათანადო პირობების შექმნასთან დაკავშირებულ მომსახურებებზე პასუხისმგებელი საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირები და ფიზიკური პირები;

სამაშველო საქმიანობა;

ჟანგბადის წარმოება-მიწოდებასთან დაკავშირებული საქმიანობები;

უწყვეტი ტექნოლოგიური ციკლის მქონე საწარმოები (საწარმოები, სადაც ტექნოლოგიური ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია საქმიანობის შეჩერება);

დაკრძალვასთან დაკავშირებული საქმიანობები;

მეტალურგია, სამთომოპოვებითი მრეწველობა, წიაღის გამდიდრების სამუშაოები, ასევე აღნიშნული სამუშაოების სრულყოფილად და უსაფრთხოდ განხორციელებისათვის საჭირო სხვა აუცილებელი საქმიანობები.

აღსანიშნავია ისიც, რომ ქვეყანაში 2021 წლის იანვარში 2 კვირიანი უქმე დღეების გამოცხადებაში ბევრ კითხვის ნიშანს ხედავდნენ მათ შორის, დამსაქმებელთა ასოციაციაში. მათი შეფასებით, ეს ჩამონათვალი ძალიან მცირე იყო და კიდევ უფრო მეტ სიცხადეს და დაზუსტებას საჭიროებდა. ამასთან, ასოციაციაში აღნიშნავდნენ, რომ „კომპანიებს, რომლებიც ამ ტიპის დასვენების პერიოდში იმუშავებენ, ჯარიმა არ დაეკისრება, რადგან ეს არის უქმე დღე, რომელსაც მთავრობა აწესებს და რომლის სანაცვლოდაც დამსაქმებელი უფლებამოსილია თანამშრომელს მოსთხოვოს მუშაობა სხვა დასვენების დღეებში, შესაბამისად, თუ დამსაქმებელი შეუთანხმდა დასაქმებულს იმუშაონ იანვრის დღეებში, ეს არ იქნება დარღვევა და იქნება ორმხრივი შეთანხმება“.




# პასპორტების გლობალური რეიტინგი გამოქვეყნდა — რომელ ადგილზეა საქართველო

**გლობალურ რეიტინგში ქართული პასპორტი თურქეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის და კიდევ 152 ქვეყნის პასპორტებს უსწრებს.**

passportindex.org -ის მონაცემებით, საქართველოს პასპორტი 110 ქვეყანას შორის 50–ე ადგილს იკავებს და უკეთესი პოზიციები აქვს, ვიდრე მაგალითად, თურქეთს, ყაზახეთს, ბელარუსს და ა.შ.

passportindex.org -ის მონაცემებით, საქართველოს მოქალაქეს უვიზოდ მოგზაურობა 116 ქვეყანაში შეუძლია.

რეიტინგში პირველ ადგილზეა იაპონია, რომლის მოქალაქეები უვიზოდ 193 ქვეყანაში გადაადგილდებიან.

ათეულში ასევე მოხვდნენ - სინგაპური, გერმანია, სამხრეთ კორეა, ფინეთი, იტალია, ლუქსემბურგი, ესპანეთი და ა.შ.

რაც შეეხება მეზობელ ქვეყნებს, რუსეთი რეიტინგში 48-ე ადგილზეა, რომლის მოქალაქეებსაც 118 ქვეყანაში შეუძლიათ უვიზოდ მოგზაურობა. თურქეთი 52-ე ადგილს იკავებს. ამ ქვეყნის მოქალაქეები 111 ქვეყანაში მოგზაურობენ უვიზოდ. 74-ე ადგილზეა აზერბაიჯანი, რომლის მოქალაქეები 68 ქვეყანაში შედიან ვიზის გარეშე. ხოლო, სომხეთი 78-ე ადგილზეა. ამ ქვეყნის მოქალაქეებს 64 ქვეყანაში შეუძლიათ უვიზოდ მიმოსვლა.

აღსანიშნავია, რომ რეიტინგში საქართველოს უსწრებს უკრაინა და ის 35-ე ადგილს იკავებს. უკრაინის მოქალაქეები უვიზოდ 136 ქვეყანაში გადაადგილდებიან.

„ბიზნესპრესნიუსი“ გთავაზობთ ტოპ-10 ქვეყანას, რომელთა მოქალაქეებიც უვიზოდ ყველაზე მეტ ქვეყანაში გადაადგილდებიან:

**1. იაპონია — 193 ქვეყანა**
**2. სინგაპური — 192 ქვეყანა**
**3. გერმანია — 191 ქვეყანა**
**4. სამხრეთ კორეა — 191 ქვეყანა**
**5. ფინეთი — 190 ქვეყანა**
**6. იტალია — 190 ქვეყანა**
**7. ლუქსემბურგი — 190 ქვეყანა**
**8. ესპანეთი — 190 ქვეყანა**
**9. ავსტრია — 189 ქვეყანა**
**10. დანია — 189 ქვეყანა**

passportindex.org -ის მონაცემებით, რეიტინგში ბოლო, 110-ე ადგილს იკავებს ავღანეთის მოქალაქის პასპორტი. ავღანელებს უვიზოდ შეუძლიათ მხოლოდ 26 ქვეყანაში მოგზაურობა. ავღანეთთან ერთად რეიტინგის ბოლოში მოხვდნენ — ერაყი, სირია და პაკისტანი.

**ავტორი: ნინი ქეთელაური**

# 10 უნივერსიტეტი, რომელთაც ყველაზე მეტი მილიარდერი კურსდამთავრებული ჰყავს



**გამოცემა Forbes -ის ბოლო მონაცემების მიხედვით, ამჟამად მსოფლიოში სულ 2 755 მილიარდერია.**

მათ ნაწილს უმაღლესი განათლება საერთოდ არ აქვს, ზოგიერთმა კი (მაგალითად მარკ ცუკერბერგი და ბილ გეითსი) სწავლა დროზე ადრე შეწყვიტა.

Forbes გთავაზობთ იმ უნივერსიტეტების სიას, რომლებსაც ყველაზე მეტი მილიარდერი კურსდამთავრებული ჰყავთ.

აღსანიშნავია, რომ თოპ-10 უნივერსიტეტს შორის, რომელსაც ყველაზე მეტი მილიარდერი კურსდამთავრებული ჰყავს, 9 აშშ-ში მდებარეობს.

სიაში ყველაზე მეტი, 29 მილიარდერი ჰარვარდის უნივერსიტეტს ჰყავს. ჯამური ქონების მიხედვით კი პრინსტონის უნივერსიტეტი ლიდერობს, სადაც კურსდამთავრებულთა საერთო ქონება 288 მილიარდ აშშ დოლარს აღემატება.

### 1. ჰარვარდის უნივერსიტეტი, აშშ

მილიარდერების რაოდენობა: 29

მათი ჯამური ქონება: 207 მილიარდი დოლარია

კურსდამთავრებულთა შორის არიან: ძმები ვინკელვოსები და ლოიდ ბლანკფეინი.

### 2. პენსილვანიის უნივერსიტეტი, აშშ

მილიარდერების რაოდენობა: 28

მათი ჯამური ქონება: 284.8 მილიარდი დოლარია

კურსდამთავრებულთა შორის არიან: დონალდ ტრამპი და ილონ მასკი

### 3. სტენფორდის უნივერსიტეტი, აშშ

მილიარდერების რაოდენობა: 28

მათი ჯამური ქონება: 124.4 მილიარდი დოლარია

კურსდამთავრებულთა შორის არიან: დევიდ ველესი, ვლად ტენევი

### 4. იელის უნივერსიტეტი, აშშ

მილიარდერების რაოდენობა: 21

მათი ჯამური ქონება: 140.8 მილიარდი დოლარი

კურსდამთავრებულთა შორის არიან: ჯონ, ვალერი და ვიქტორია მარსები.

### 5. მუმბაის უნივერსიტეტი, ინდოეთი

მილიარდერების რაოდენობა: 20

მათი ჯამური ქონება: 162.8 მილიარდი დოლარი

კურსდამთავრებულთა შორის არიან: მუკეშ ამბანი (ყველაზე მდიდარი აზიელი მსოფლიოში)

### 6. კორნელის უნივერსიტეტი, აშშ

მილიარდერების რაოდენობა: 18

მათი ჯამური ქონება: 65.1 მილიარდი დოლარი

კურსდამთავრებულთა შორის არიან: სენდი ვეილია, რობერტ ფ. სმიტი

### 7. სამხრეთ კალიფორნიის უნივერსიტეტი, აშშ

მილიარდერების რაოდენობა: 15

მათი ჯამური ქონება: 58.5 მილიარდი დოლარი

კურსდამთავრებულთა შორის არიან: მარკ ბენიოფი, ვოლტერ სალესი, ჯორჯ ლუკასი.

### 8. მასაჩუსეტსის ტექნოლოგიის ინსტიტუტი, აშშ

მილიარდერების რაოდენობა: 14

მათი ჯამური ქონება: 104 მილიარდი დოლარი

კურსდამთავრებულთა შორის არიან: ჩარლზ და უილიამ კოხები.

### 9. პრინსტონის უნივერსიტეტი, აშშ

მილიარდერების რაოდენობა: 11

მათი ჯამური ქონება: 288.4 მილიარდი დოლარი

კურსდამთავრებულთა შორის არიან: ჯებ ბეზოსი და მისი ყოფილი მეუღლე მაკენზი სკოტი.

### 10. კალიფორნიის უნივერსიტეტი, ბერკლი, აშშ

მილიარდერების რაოდენობა: 11

მათი ჯამური ქონება: 82.6 მილიარდი დოლარი

კურსდამთავრებულთა შორის არიან: ტიმოთი სპრინგერი, რობერტ ლენჯერი.

**ავტორი: ბექა ბერიაშვილი**

# რა წერია დანიელსონის დოკუმენტში, რომელზეც «ქართულმა ოცნებამ» ხელი მოაწერა

## (ინფორმაციას უკომენტაროდ გთავაზობთ)

**შარლ მიშელის ეგიდით შექმნილ დოკუმენტს დღეს, "ქართულმა ოცნებამ" ხელი მოაწერა. ევროპული საბჭოს პრეზიდენტის, შარლ მიშელის პირადმა წარმომადგენელმა, კრისტიან დანიელსონმა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს დოკუმენტი, რომელიც პოლიტიკური კრიზისის განმუხტვას ითვალისწინებს, 31 მარტს შესთავაზა.**

იმავე დღეს, აღნიშნული დოკუმენტის სრული ვერსია საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობამ გაავრცელა.

დოკუმენტი ითვალისწინებდა შემდეგ საკითხებს:

ვიღებთ ვალდებულებას, რომ სწრაფად და კეთილსინდისიერად განვახორციელებთ შემდგომში მოცემულ ყველა საკითხს:

**1. პოლიტიზებულ მართლმსაჯულებად აღქმულ საკითხებზე რეაგირება**

— საქართველოს პოლიტიკური სტაბილურობის ინტერესებიდან გამომდინარე და ამ შეთანხმების შესრულების მიზნით, ხელისმომწერები ვალდებულებას იღებენ, რეაგირება მოახდინონ პოლიტიზებულ მართლმსაჯულებად აღქმულ ორ საკითხზე. კერძოდ, ამ შეთანხმების ხელმოწერიდან ერთი კვირის განმავლობაში, პარლამენტში წარმოდგენილმა პარტიამ უნდა მოახდინოს ინიცირება კანონისა ამნისტიის შესახებ, რომელიც 2019 წლის 19 – 21 ივნისის პროტესტებთან დაკავშირებულ ყველა დარღვევასა და დაკავებას შეეხება.

— გარდა ამისა, პარლამენტმა რეაგირება უნდა მოახდინოს პოლიტიზებულ მართლმსაჯულებად აღქმულ საკითხებზე კანონმდებლობის საშუალებით და (საჭიროების შემთხვევაში) შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები რეგლამენტში, რომ პარლამენტის წევრის სადეპუტატო იმუნიტეტის მოსახსნელად საჭირო იყოს უბრალო უმრავლესობაზე მეტი ხმა.

**ვადები:**

1. ხელმოწერიდან ერთი კვირის განმავლობაში უნდა განხორციელდეს ამ დებულების შესასრულებლად საჭირო ქმედებები.

2. ყველა ხელმომწერი შედის პარლამენტში, რომ კენჭი უყაროს საკანონმდებლო და რეგლამენტის ცვლილებებს.

**2. ამბიციური საარჩევნო რეფორმა — მომავალი საპარლამენტო არჩევნები იქნება სრულად პროპორციული. შემდეგი ორი საპარლამენტო არჩევნებისთვის ბარიერი იქნება ბუნებრივიდან 2%-მდე.**

— პარლამენტის არანაკლებ 4 წევრისგან შემდგარი ჯგუფი შეძლებს შექმნას საპარლამენტო ფრაქცია, რომელშიც შესაძლებელი იქნება დეპუტატების ჩართვა სხვა პარტიებიდან.

— პარტიები მხარს დაუჭერენ 2 მარტს პარლამენტში წარდგენილ კანონპროექტს შემდეგი დამატებებით ან შესწორებებით:

— ადგილობრივი არჩევნები: პროპორციული და მაჟორიტარული მანდატების 4/1 პროპორცია ხუთ დიდ ქალაქში და 2/1 პროპორცია ყველა დანარჩენში. 2.5% ბარიერი თბილისში, 3% ბარიერი ყველგან თბილისს გარეთ.

— ცენტრალური საარჩევნო კომისია: 8 პროფესიული და 9 პარტიული წევრი. პროფესიული წევრები აირჩევა პარლამენტის სრული შემადგენლობის ხმების 2/3- ით. ცესკოს თავმჯდომარის მოადგილე უნდა იყოს ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი.

— საოლქო საარჩევნო კომისია იგივე პროპორციით დაკომპლექტდება და პროფესიული წევრების ასარჩევად საჭირო იქნება ცესკოში ხმების 2/3.

— საუბნო საარჩევნო კომისია იგივე პროპორციით დაკომპლექტდება, მას შემდეგ, რაც მოხდება საპარლამენტო განხილვა მიზანშეწონილობის შესახებ. პროფესიული წევრები ინიშნება საოლქო საარჩევნო კომისიების უბრალო უმრავლესობას +1 ხმით. საუბნო საარჩევნო კომისიის ოქმებს ხელს მოაწერს მინიმუმ 5 პროფესიული წევრი +1 პოლიტიკური პარტიის წევრი.

— ცესკოს თავმჯდომარეს პარლამენტი ირჩევს ხმების 2/3-ით.

— უნდა განისაზღვროს მკაფიო კრიტერიუმები ბიულეტენების გადასათვლელად. ქვეყნის მასშტაბით უბნების 10%-ის ავტომატური გადათვლის წესი ძალაში რჩება.

— ცესკოს უფლებამოსილების ქვეშ შეიქმნება მიზნობრივი ჯგუფი, რომელშიც შევლენ სახალხო დამცველის ოფისისა და მოწვეული, სანდო, მიუკერძოებელი არჩევნებზე სადამკვირვებლო ორგანიზაციების წარმომადგენლები, და ასევე სანდო ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტები, დავების განხილვის პროცესისითვის და ცესკოსთვის დროული რეკომენდაციების წარსადგენად. შესაძლებელია, რომ ამ ჯგუფს მიენიჭოს დამატებითი ფუნქციები, როგორიცაა გადათვლის პროცესში ჩართვა.

— ვენეციის კომისიის და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) 2021 წლის 20 მარტის ერთობლივი დასკვნის შესაბამისად, რომელიც შეეხება 2021 წლის იანვარში ინიცირებულ ორ კანონპროექტს (საკანონმდებლო ცვლილებებს პარტიების რეგისტრაციისა და დაფინანსების შესახებ) და შეთავაზებული ცვლილებები უნდა გადაიხედოს.

**ვადები:**

1. საარჩევნო კანონპროექტის განხილვა სამუშაო ჯგუფში განახლდება სხვა ოპოზიციური პარტიების პარლამენტში შესვლის შემდეგ.

2. შეთანხმების მიღწევიდან ორი კვირის განმავლობაში შეცვლილი კანონპროექტი, რომელიც ამ შეთანხმებას სრულად ასახავს, გაიგზავნება ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისში (OSCE/ODIHR) დასკვნის მისაღებად.

3. ყველა საჭირო ცვლილება დროულად უნდა იყოს მიღებული პარლამენტის მიერ 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე.

**3. კანონის უზენაესობა/სასამართლო რეფორმა**

ამ საპარლამენტო ვადაში, ფართომასშტაბიანი, ინკლუზიური და ყველა პარტიის მონაწილეობით შემუშავებული რეფორმების გზაზე პირველი ნაბიჯის გადადგის ნიშნად, პარლამენტმა უნდა დაამტკიცოს ამბიციური სასამართლო რეფორმა, შემდეგი პუნქტების ჩათვლით:

— სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის, ანგარიშვალდებულების და ხარისხის გასაზრდელად, საქართველოს ხელისუფლებამ, 2017 და 2019 წლებში მიღებული მართლმსაჯულების რეფორმების ორი პაკეტის შესაბამისად:

ა) პირველი ინსტანციის და სააპელაციო სასამართლოებში მოსამართლეების დანიშვნისას უნდა გაზარდოს გამჭვირვალობა და დამსახურებაზე დაფუძნებული შერჩევა, განსაკუთრებით მოსამართლეების დასანიშნად კეთილსინდისიერებასა და კომპეტენციის კრიტერიუმებზე დაფუძნებული წერილობითი დასაბუთების გამოქვეყნების გზით;

ბ) პარლამენტს უნდა წარუდგინოს კანონპროექტი უზენაეს სასამართლოში დანიშვნებთან დაკავშირებით, ვენეციის კომისიის 2019 წლის 24 ივნისის №949/2019 დასკვნის გათვალისწინებით, განსაკუთრებით, რაც ეხება დანიშვნებისადმი ეტაპობრივ მიდგომას, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ღია კენჭისყრას და საბჭოს მიერ წარდგენების დასაბუთების საჭიროებას;

გ) უზენაეს სასამართლოში არსებული წესებით დანიშვნებისგან თავი უნდა შეიკავოს;

დ) მიიღოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2019 წლის ივნისში მიღებული გადაწყვეტილების აღმსრულებელი კანონმდებლობა, სასამართლოს გადაწყვეტილებების გამოსაქვეყნებლად წესების დადგენის გზით.

— ამავდროულად, უზენაეს სასამართლოში ყველა მიმდინარე დანიშვნა უნდა შეჩერდეს და ხელახლა დაიწყოს განცხადებების მიღება ახალ კანდიდატებთან დაკავშირებითაც მას შემდეგ რაც, ახალი კანონი ძალაში შევა.

— იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სიღრმისეული რეფორმა, რათა გაიზარდოს გამჭვირვალეობა, კეთილსინდისიერება და ანგარიშვალდებულება, მათ შორის განისაზღვროს დანიშვნის, შეფასების, დაწინაურების, გადაყვანის, დისციპლინური გადაწყვეტილებების და დავების საკითხები, რომელიც გაეგზავნა ვენეციის კომისიის და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისს (OSCE/ODIHR) განსახილველად და მათი რეკომენდაციები სრულად უნდა იყოს შესრულებული.

— რაც შეეხება მომავალ გენერალურ პროკურორებს, საკონსტიტუციო ცვლილებების განსახორციელებლად აუცილებელი პროცედურების შემდეგ, საჯარო დებატების ჩათვლით, მხარეები იღებენ ვალდებულებას, განაგრძონ საერთო პოლიტიკური პოზიციის გაზიარება, რომ შემდეგი გენერალური პროკურორების დანიშვნისთვის საჭირო იქნება პარლამენტის წევრთა კვალიფიციური უმრავლესობის ხმები, რაც ფართომასშტაბიან, ყველა პოლიტიკური პარტიის ჩართულობას და მხარდაჭერას უზრუნველყოფს; ეს დანიშვნები უნდა ჩატარდეს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, გამჭვირვალე, მიუკერძოებელი, დამსახურებაზე დაფუძნებული დანიშვნების უზრუნველსაყოფად.

— პარტიები იღებენ ვალდებულებას, განაგრძონ სასამართლო რეფორმა ინკლუზიური პროცესის საშუალებით, სასამართლო რეფორმის მესამე და მეოთხე ტალღის ეფექტიანობის შეფასების ჩათვლით. ამ რეფორმების განხორციელების პროცესში გამოყენებული იქნება საერთაშორისო ექსპერტების რჩევები და დახმარება, განსაკუთრებით დასანიშნი მოსამართლეების კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით.

**ვადები:**

1. ამ შეთანხმების განხორციელებისა და შემდგომი რეფორმების შესახებ დისკუსია იწყება სხვა ოპოზიციური პარტიების პარლამენტში შესვლისთანავე.

2. პროექტი შედგენილია და 1 ივლისამდე იგზავნება ვენეციის კომისიაში დასკვნის მისაღებად.

3. პირველი კენჭისყრა პარლამენტის 2021 წლის საშემოდგომო სესიაზე ჩატარდება.

4. პარლამენტი სწრაფად დაამტკიცებს რეფორმებს, არა უგვიანეს 2022 წლის საგაზაფხულო სესიისა.

**4. პარლამენტში ძალაუფლების განაწილება**

— პარლამენტის წევრები ოპოზიციური პარტიებიდან უხელმძღვანელებენ ხუთ კომიტეტს, საიდანაც ორი კომიტეტი შერჩეული იქნება ქვემოთ მოყვანილი სიიდან: 1. საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი 2. იურიდიულ საკითხთა კომიტეტი 3. ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი 4. საბიუჯეტო და საფინანსო კომიტეტი 5. საგარეო საქმეთა კომიტეტი

— პარლამენტის წევრები ოპოზიციური პარტიებიდან დაიკავებენ საპარლამენტო დელეგაციის თავმჯდომარის 1 პოზიციას იმ საპარლამენტო დელეგაციებში, რომლებიც საქართველოს წარმოადგენენ შემდეგ საერთაშორისო ფორუმებში: ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეა, ევროკავშირი–საქართველოს საპარლამენტო ასოცირების კომიტეტი, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა და ეუთოს საპარლამენტო ასამბლეა.

— სამომავლოდ, სხვა პოზიციები განაწილდება ისეთი ინკლუზიური ფორმულის გამოყენებით, როგორიცაა D'Hondt მეთოდი [რომელიც არაპროპორციულობის მინიმუმამდე დაყვანისთვის გამოიყენება]

— პარტიები იზრუნებენ „ჟან მონეს დიალოგის" ფორმატის შექმნაზე ევროპარლამენტთან. ვადები: ხელმოწერიდან ერთი კვირის განმავლობაში უნდა დაიწყოს პარლამენტში ძალაუფლების მეტი განაწილების პროცესი, რომ ცვლილებები ძალაში შევიდეს 2021 წლის საშემოდგომო სესიის მოწვევისთანავე.

**5. მომავალი არჩევნები**

პარტიები მხედველობაში იღებენ ეუთო/ოდირის შეფასებას, რომლის მიხედვით "31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები კონკურენტულ გარემოში და ზოგადად ძირითადი თავისუფლებების დაცვით ჩატარდა. ამის მიუხედავად, ამომრჩევლებზე ზეწოლის შესახებ ფართოდ გავრცელებული ბრალდებები და მმართველ პარტიასა და სახელმწიფოს შორის საზღვრის ბუნდოვანება საარჩევნო პროცესის ზოგიერთი ასპექტის მიმართ საზოგადოების ნდობას ამცირებდა. (...) ფორმალურ საფუძველზე საჩივრების უდიდესი ნაწილის განხილვაზე სისტემურმა უარის თქმამ საგრძნობლად შეამცირა მათზე ეფექტური სამართლებრივი რეაგირება".



პარტიები აღიარებენ, რომ ისინი განსხვავებულად აფასებენ 2020 წლის არჩევნებს და თანხმდებიან საპარლამენტო მანდატებზე და მონაწილეობაზე მომავალ არჩევნებში, რომელიც ჩატარდება წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული საარჩევნო რეფორმის საფუძველზე, საქართველოს პოლიტიკური სტაბილურობისა და წინამდებარე შეთანხმების განხორციელების ინტერესებიდან გამომდინარე.

2021 წლის ოქტომბრის ადგილობრივი არჩევნებისთვის საქართველოს ხელისუფლება მოითხოვს საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის ჩამოსვლას. ვადები: მხარეებს პოლიტიკური ვალდებულება ეკისრებათ შეთანხმების ხელმოწერისთანავე", — აღნიშნულია ტექსტში.

**პ.ს. გაზეთი დასაბეჭდად მზად იყო, როდესაც „დანიელსონის" ცნობილ დოკუმენტს ერთი პუნქტი დაემატა, რომელსაც ასევე უცვლელად გთავაზობთ:**

**შარლ მიშელის ახალი წინადადების თანახმად, 2022 წელს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები დაინიშნება, თუ „ქართული ოცნება" 2021 წლის ადგილობრივ არჩევნებში ვალიდური პროპორციული ხმების 43%-ზე ნაკლებს მიიღებს**

**2022 წელს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები დაინიშნება, თუ პარტია „ქართული ოცნება" 2021 წლის ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ვალიდური პროპორციული ხმების 43%-ზე ნაკლებს მიიღებს, — ამის შესახებ ევროპული საბჭოს პრეზიდენტის, შარლ მიშელის მიერ წარმოდგენილ ახალ წინადადებების პაკეტში წერია.**

**„2021 წლის 16 აპრილს „ქართული ოცნების" მიერ გაკეთებული შეთავაზების შედეგად, 2022 წელს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები დაინიშნება, თუ პარტია „ქართული ოცნება" 2021 წლის ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ვალიდური პროპორციული ხმების 43%-ზე ნაკლებს მიიღებს.**

**მხარეები აცნობიერებენ განსხვავებულ შეფასებას 2020 წლის არჩევნებთან დაკავშირებით და თანხმდებიან, მიიღონ საპარლამენტო მანდატები და მიიღონ მონაწილეობა მომავალ არჩევნებში შეთანხმებული საარჩევნო რეფორმის საფუძველზე, საქართველოს პოლიტიკური სტაბილურობის ინტერესებში და ამ შეთანხმების განსახორციელებლად. 2021 წლის ოქტომბრის ადგილობრივი არჩევნებისთვის საქართველოს ხელისუფლებამ უნდა მოითხოვოს საერთაშორისო სადამკვირვებლო მისია", — ნათქვამია შარლ მიშელის წინადადებაში.**

# 5 წლის ბიჭი ბაბუას ენგურში გადაუვარდა, ისიც მდინარის მორევმა ჩაითრია —

# ენგურს შეწირული ადამიანები და პანაშვიდები გამოღმა ნაპირზე

**ქვეყანამ 7 აპრილი, ხარების დღესასწაული ტრაგიკულად გარდაცვლილი ქართველების გლოვის დღეს გამოაცხადა. მდინარე ენგურმა აფხაზეთის მცხოვრები ქართველები შთანთქა. ხარება იყო, ოჯახიც ახალშეძენილი შვილიშვილით ხარობდა, სწორედ მისთვის ბებია-ბაბუას საჩუქრები უნდა ეყიდათ...**




აფხაზეთიდან წამოსულ ქართველებს უკან სამხედროები მოსდევდნენ, წინ კორონავირუსის გამო დაწესებული შეზღუდვები ელობებოდათ, ამიტომ მდინარეს მიენდნენ, თუმცა ენგურმაც „უღალატა“... არ დაინდო, არ აპატია, არ დამშვიდდა და წყლის მძიმე ზვირთებმა ოთხი ქართველი უმალვე ჩაითრია. ახლა, პატარა ილიას მშობლების სახსოვრად მხოლოდ ფოტო კადრები, გონებაში შემონახული ცოცხალი მოგონებები, მდინარის შიში და ენგურის ზიზღი დარჩა.

სამწუხაროდ, ეს დიდი ტრაგედია, არც პირველია და ალბათ, არც — უკანასკნელი მდინარე ენგურს შეწირულების უახლეს ისტორიას თუ გავიხსენებთ, კიდევ არა ერთი მსხვერპლი მოგვაგონდება.

ამ უმძიმესი ისტორიების გმირების მკვლელი უფრო სწორად — დამხრჩობი „ენგურია“...

**7 წლის ილია გვალია, რამდენიმე დღის წინ მდინარე ენგურში დატრიალებული ტრაგედიის შედეგად დაღუპული ჯონი გვალიას და მაყვალა გამისონიას უმცროსი შვილია. ეს ის ბიჭია, დედიკოსგან კამფეტებს რომ ელოდა, ალბათ, პატარა-პატარა ნობათსაც, მაგრამ მისი ოცნება „ენგურმა“ წაიღო, საყვარელ დედ-მამასთან ერთად...**

**ეს ბიჭი, გალის რაიონის სოფელ წარჩედანაა, მშობლების სურათთან დარჩენილი, დაობლებული ბიჭი...**

**ხალხი თავის წილ ომს იგებს დამარცხებულ ომშიც, ჩვენი დროის ორმა სასტიკმა ომმა გვაჩვენა გმირობის არნახული მაგალითები, მაგრამ მთავრობა ამ ომებიდან, სამწუხაროდ, დამარცხებული გამოვიდა, მუდამ და ვერც ვერაფერი ისწავლა! სამშობლო დამარცხდა, რამდენიმე დღის წინაც, როცა ადიდებულმა „ენგურმა“ საკუთარი შვილები წაართვა! ვერც ახლა აკეთებს რამეს, როცა არ შეუძლია პასუხი გასცეს პატარა ბიჭს, რომელიც დედ-მამის ფოტოებს მისჩერებია და ბავშვობა დაუკარგავს.**

**ჰო, წარჩედან გამოგზავნილ ამ ფოტოზე აღბეჭდილი ბიჭის სევდიან მზერაში მისი დაკარგული ბავშვობაა. ბავშვობა, რომელიც გაქრა და დაუნდობლად გაიტაცა „ენგურის“ მორევმა, ხოლო ბიჭი ერთ დღეში კაცად აქცია. დიახ, ჩვენ გვტკივა დევნილი ბიჭის დაკარგული ბავშვობა იმ ტრაგედიასთან ერთად, რომელიც მას და ჩემს ქვეყანას, აფხაზეთს დაატყდა თავს ზუსტად ხარების დღეს.**

**კიდევ უფრო ადრე, 5 წლის ბიჭი გადაუვარდა ენგურზე ურმით მიმავალ ბაბუას და ისიც, ოტობაიელი პატარა ბიჭი, მდინარის მორევმა ჩაითრია.**

### მამის წლისთავიდან წამოსული კაცის მძიმე ისტორია

ენგურმა საქართველოს კიდევ ერთი შვილი წაართვა.

2020 წლის ზაფხულში, 22 აგვისტოს, აფხაზეთთან ახლოს, შუახნის მამაკაცი გარდაიცვალა. მართალია, ის მდინარეს გაუმკლავდა, მაგრამ ენგურმა თავისი კვალი მაინც დაამჩნია — საქართველოდან აფხაზეთისკენ მიმავალ გზაზე მოსახვედრად, მამაკაცს მდინარე ენგურის გადმოცურვა მოუწია. დინებასთან ბრძოლის შედეგად, მას გულმა უმტყუნა, დაიღალა და გულის ფეთქვაც მდინარიდან გამოსვლისთანავე შეწყდა... ის კაცი, ოტობაიას მკვიდრი იყო.

დევნილობის გამო ოჯახთან ერთად ზუგდიდში ცხოვრობდა. მშობლიურ სოფელში, მამის წლისთავთან დაკავშირებით მეუღლესთან ერთად ივლისში ჩავიდა. დანარჩენ საქართველოსთან „საზღვრის“ ჩაკეტვის გამო უკან, საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე ჩამოსვლა შემოვლითი გზით, მდინარის გადაცურვით მოუხდათ და სწორედ ამ გზაზე აღესრულა. მაშინ, მათ გამოღმა ნაპირზე შვილი ელოდათ...

### ენგურის კიდევ ერთი მსხვერპლი

კიდევ ერთი მამაკაცი, რომელიც ენგურის მძლავრმა დინებამ იმსხვერპლა 70 წლისა გახლდათ. მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა 2020 წლის 25 აგვისტო. თუმცა, არავინ იცის, ზუსტად როდის დაიღუპა მამაკაცი, რომელსაც სამშობლოში ბარიერები დაუწესეს...

ამ უმძიმესი ფაქტორების გამო მოხუცმა კაცმა სამშობლოს ერთი ნაწილიდან, აფხაზეთიდან მეორე ნაწილში გადმოსვლას თავი აარიდა და წყლის სტიქიას მიენდო, არც ენგურმა დაინდო ტყვე, სწორედ 25 აგვისტოს ისევ ენგურმა გამორიყა ცხედარი, ისევ თავად გამორიყა და კიდევ ერთი მსხვერპლით ქვეყნის მძიმე ვითარებაზე დაგვაფიქრა.

ის, გალის რაიონის სოფელ ოქუმის მკვიდრი იყო. ისიც აფხაზეთიდან დანარჩენი საქართველოს ტერიტორიაზე გადასვლას ენგურის გადაცურვით ცდილობდა.

ამ ტრაგიკულ ისტორიებს გმირები ჰყავთ. გმირები, რომლებიც დამარცხებულ ომში მაინც იბრძოდნენ. თუმცა, ამავე ტრაგედიებს სამწუხარო განშტოებებიც აქვთ — სამშობლოს ერთი ნაწილიდან მეორე ნაწილში მიმოსვლას მდინარის ტალღებთან შებრძოლება რომ უწევთ, ეს ტრაგედიის ერთი მხარეა, ხოლო მეორე — გაღმა ნაპირზე, ახლობელ ადამიანთან უკანასკნელი გამოთხოვების უუფლებობაა.

ამიტომ, ისევ მდინარე ენგურზე, ოტობაია-ორსანტიას დამაკავშირებელ მონაკვეთზე გამოღმიდან გაღმა, აფხაზეთში მყოფ დაღუპულს ახლობლები გლოვობენ. იქვე, ენგურზე ქართული წეს-ჩვეულების მიხედვით, გარდაცვლილის ხსოვნის პატივსაცემად ქელეხის სუფრასაც შლიან და სახელდახელოდ, ღია ცის ქვეშ, ხიდზე გამართულ პანაშვიდს და ალაპ-ქელეხის რიტუალს ზუგდიდის მხარეს დარჩენილი ქართველები ალასრულებენ. ორ სამგლოვიარო პროცესიას მესაზღვრეები ყოფენ, რომელიც სამწუხაროდ, ის წყალგამყოფია, რომელიც მთლიან საქართველოს გაღმა და გამოღმა ნაპირებად ჰყოფს...

### ქელეხი ხიდზე

მდინარე ენგურზე, გალის რაიონის სოფლების, ოტაობაია-ორსანტიის დამაკავშირებელ მონაკვეთზე, 2019 წლის 20 თებერვალსა და იმავე წლის 9 აპრილს, მიცვალებულები ნათესავებმა ისე დაიტირეს, რომ მდინარის გაღმა ნაპირზე მათთვის პატივის მისაგებად ვერ გადავიდნენ. მიზეზი, რა თქმა უნდა, ე.წ. ადმინისტრაციული საზღვრის ჩაკეტვა იყო. მაშინაც და დღესაც, ჭირისუფლებს არც შესაბამისი საბუთები გააჩნდათ, რომ ე.წ. საზღვარზე გადასულიყვნენ...

**მარი ჩიტაია**

# «სუფთა რეგიონი 2020» კონკურსის გამარჯვებულები გამოვლინდნენ

**ზუგდიდის მუნიციპალიტეტმა კონკურსში , „სუფთა რეგიონი 2020“ რამდენიმე ნომინაციაში გაიმარჯვა.**



**ნომინაცია „სუფთა სოფელი 2020“ — გამარჯვებული გახდა სოფელი ზედა ეწერი.**

**ნომინაცი „სუფთა ქუჩა 2020“ — გამსახურდიას გამზირი.**

**ნომინაცია „ლამაზი აივანი 2020“ — გამარჯვებულია, რუსუდან ხარგელია.**

კონკურსის ჟიურის გადაწყვეტილებით სიგელი გადაეცა სოფელ ხურჩასაც ნომინაციაში **სუფთა-ლამაზი ეზო.**

დაჯილდოების ცერემონიალი თბილისის საკრებულოს შენობაში გაიმართა და მას ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე **კონსტანტინე კაკავა** და ა(ა)იპ „ზუგდიდდასუფთავების ცენტრის“ დირექტორი **ნუგზარ მალაშხია** დაესწრნენ.

კონკურსი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრების ორგანიზებით გამოცხადდა.

კონკურსი ჩატარდა პროექტის „დავიცვათ საქართველოს სისუფთავე“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს არასამთავრობო ორგანიზაციები „დავიცვათ საქართველოს სისუფთავე“, ადგილობრივ და შვედ პარტნიორ-ორგანიზაციებთან ერთად, საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი „ორქისი“, „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები — საქართველო“, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო და მისი სტრუქტურული ერთეული სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი“, ასევე მყარი ნარჩენების მართვის კომპანიასთან თანამშრომლობის ფარგლებში, შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით.

აღნიშნულ კონკურსში ზუგდიდის მუნიციპალიტეტმა სხვადასხვა წელს რამდენჯერმე მოიპოვა გამარჯვება.

# ბჭარათ დო ბრაგადუათ

## შუკო ჯიქია
(28. 07. 1949 წ.)

* * *

დიო ხოლო ურზუქ ჩხურუს,
დიო ხოლო ურზუქ შქირენს,
ინჭაცალო ინვოჯინექ,
ჩქიმჷ ცხოვრება ინორშვინელს.
ენეფქ სახელ იკეთეს,
ჩქიმჷ სოთინი ვამიშინეს,
ლერიშჷ* ბების ქელვოსხაპჷ,
ბონდოშჷ* ბები ვამიშინერს.

* * *

დაჩიჩიებულჷ ვორეთ ,
თიშა მითიბლით გვალო,
ზუგიდს მუშჷ სახე მიდუღით,
გეგნვორთინეთუ გალო,
თოლჷ მიყიყანა ქართიშა,
დუს მიკობდვანთუ ძალო,
მის მუშო ვოკოთ ხორცო დო
მის მუშო ვოკოთ ძვალო.

ეს მითინს ვაბკითხულენა,
ვართ ბკარნახენა გუმანი,
დიდა ჸონილი გაფუნა,
ჸონილჷ გაფუნა მუმანი,
ენა მიჩქნა დო ინა — ვარჷ
ჩქით დიბჸონუთუ ჭუმანი,
ზუგიდქ გეთუ დო მეტ ვარე,
ანჭ ჩქიმი შიბლა ჭკუმანი.

ჯვარ მიწერა მადაშენი,
მენჯირელო იდიარეთ,
ქუდი ნოქუდია რენ დო
ზუგიდ ნოზუგიდია რე...
ზუგიდითი ვაჭრენსჷ დო
ნავაჭრითი ხარენსუნი,
ეთი ზუგიდარი ბხოკი,
ხოლო ზუგიდარენსუნი.

* * *

თოფჷ გინმობ ჯემალიშჷ,
ელაპუნქ ლადიდის,
წყარს ვარდუო გოფსხაპინ,
უცფას გომჷოლ ბადიდის.
ენა მიშას ქუღუდას,
გურთას მუმა მუშის,
თითო შურიშჷ მენთხუაფა —
ობამა დო ბუშის.

* * *

მუ მოხვადუ ჭუმანინი,
ამდღა მიჩქუ ხუთიშა,
კენჭის მითინს ვენუჸოთა
საარჩევნო ყუთიშა.

ასე ბჭარუნქ ლერსისჷ დო
უკულჷ დობჭარ ნოველს,
ედუ გილმობ ათეშ ჯერღვის,
ასლან — ჯერღვიშჷ ნოჸელს.

მიბურჯუანს აზრეფი დო
მიხვენთქუანს შაყირეფი...
ჸათეშჷ მაწუალეფჷ რენა,
ჸეთიშჷ პარიკმახერეფი.

ხუმა მიდგაშა მეიჩამ,
მუ თეშა დო მუ თიშა,
კენჭის მითინს ვენუჸოთა,
საარჩევნო ყითიშა.

* * *

სუკიშჷ დუდცჷ ბაბაჩია,
მუსხი ნოთე ბარბანჯია,
მიკიველჷ დო მიკიჭვაჭვუ,
სი ლეხჷ რექ დო ბირგულს
გაჭუ,
სი ედგინა გიწორესუ,
სუკი გეგმიბიწორესუ.

* * *

სისმარქ გემირთასო
თოლსჷ სინთე მოკორდუნი,
ნახუტურუშ უჩა დიხა
ვასრჩხილი დო ორქოპ რდუნი,
საფლესჷ მთხორუნდი დო
ვამიჩქ მიშო მოკოდუნი.

## ვალერიან ვეკუა
(22. 12. 1950 წ.)

### სოხუმს მუკაქუნსჷ ფარჩა

გალი, გულირიფშჷ დო წარჩე,
კინდღჷ, ტამიში დო ვარჩე,
ღორონთიში გუნაფაჩა,
სოხუმს მუკაქუნსჷ ფარჩა...
ოქუმი დო აჩიგვარა,
ჩხორთოლი დო აკარმარა,
მონატრებულჷ მაფჷ მაჭარა,
ქობძირუნდე ართშა ვარა...
კოდორს ორკინ ორაგული,
ჭყოლირჷ მაფუ ამდღა გური,
ზღვაშა მისოფჷ კელასური,
თექჷ მიშახე ჩქიმი შური...
უსქანეთ ჩქიმი დრანდა,
მუ ფქიმინა, სო მუ ბლანდა,
შურობუმუ ირო რწანდა,
დღას ვამსხუნუ მითინ სქანდა...

### ქაზიმ ქუიუნჯუს*

ქაზიმჷ ჯიმა, სქან ნაბირაქ,
გურს მოჰამუ, ჩქიმი ღურა,
ეგკანგარს მარგალ-ჭანი,
მეტი ვანორღვენო ხანი?!.
ამდღა თვალუნს ნანა სქანი,
სქანცალ სქუა ბრელ მუჩანი,
მურიცხებს ქახოლიო,
ჩილამურიშჷ მათხუალი...
ჭან-ლაზეთიშჷ მაფშალია,
ცირას გური დუხალია,
ასე სქანი მახარია,
გილურსჷ ხვალე კაკალია...
ბრელი მარდი გიკეთებუ,
ცხოვრებაში კუნტა ხანს,
პანჭოლიში** რექჷ დარდი,
ვაგაჭყორდუქ ლაზისტანს...
კოლხი ვორექ სოხუმარი,
სქანი გამა მა იმნგარი,
ანგელოზეფჷ გაზარენდეს,
ღორონთქ გოინჯჷ ცაში კარი...

### შურობუმუს დუართუქ

გულრიფშის შური მიხე,
ოხუტოლუ ზღვას,
ინგირპის ჩქიმი ძორი,
ელახერგუ მოლე ძგას...
ინზგარქ ოდაბადეშენი,
იბტყაბარანქ ღვას,
მარა ჩქიმი აფხაზეთი,
იშენთ მეჸუნს შხვას...
ნტერი ფთხოზუ, მიდმამღანს,
გაგრას დო გალს,
ღორონთ იშენთ ვაგაბწირენს,
მაცხოვარიშჷ ბწანს...
ბწანს, მუჭოთ განმუონჯა,
ჩქიმჷ ჯარგვალიშჷ კარს,
შურობუმუს დუართუქ,
დუართუქ ზღვას...
ქრისტეს ხოლო თხოზუდეს,
თით აცვეს ჯვარს,
მარა ამდღა ველუთ დო
ალმვოჯინეთ ცას...

### „ტოლვილს“ მიძახუნა

ინგირს მელე, ჩქიმ ჯარგვალს,
ვემეურს კუმა,
ირო თოლშა აწომირე,
მოსიზმარუდ ღუმა...
სიზმაროთჷ მოფხოზჷნა,
რუს გიორთჷ ბუქნას,
ამდღა „ტოლვილს“ მიძახჷნა,
ბჭკომუნქ ნწარე ლუკმას...
დღაშ დო სერი ქიმეურს,
დღალეფ გეთხოზ დღალეფს,
ვამიჩქ მუჟამ დუართუქჷ,
ჩქიმჷ კოდორიშჷ ჭალეს...
კოლხეფიში თხოზინი რე,
მის მუთ ოკონჷ თქუას...
დუმართინდა, ქუაჯუდუქ,
თექ ზღვაპიჯიშ ქუას...
26. 11. 2014 წ.

### ანაკლიას რკიანს ანა

კერიაშე ერღვაფილო,
დღა ვამძირუ აკა ჯგირი,
ჩილამურებს მიშებრჩხუქი,
ვორექ კოლხი მუჰაჯირი...
ვაგათებე მამლუქობა,
ანაკლიას რკიანს ანა,
ჸინიცალო აშმონდღულუ,
გაჭირებულ ჩქიმ ქიანა...
სო ვამკოდგუდ ჩქინ ზისხერი,
ბაღდადის დო კაიროსო...
თექით ჩქინი ქომოლობა,
უკვენდ ბონაპარტეს ხოლო...
შხურსუ გერი გაკოსოფუნს,
ვეწოჸუნდას ერჯი მორო,
ვოხვილუთუ მანჯღვერუსჷ,
თენა ორე დუდ დო ბოლო...

### დაჩხირ ონტუ ჩქიმი გურს

ანაფორა მჷკაქუნს
გური ცოდათ აფუ ეფშა,
თიშჷ ნახვამა წყარს გეჭარჷ,
ამბროს ხელაიაშ გეშა...
ამბროს „ჩეკაქ“ ჯვარს
ქჷმკაჭკად,
ულორონთეფიში წესშა,
მარა იშენთ ჯვარსჷ ათურდ,
გურ ჸოროფათ აფუდ ეფშა...
სიმართლევა ჟირ რენია,
რაგადანს დიდი ჭყიში,
მა ათენა მიბრჩქილენი,
მუ დებჯერა უკულ თიში...
ოსურ გერე წირუასჷ,
შარვალჷ გატკაჩ გიოხვინსჷ,
ხვამას ჭყანა მუჭო აში,
ეშმაკ ქჷგმახენდა ცხვინსჷ...
მხილებაქ მუდგარენი,
განკითხვას ქჷმიაჭარ,
ვაგმაგებუ თე წესიქ,
სოვრე მორთ დო სოდე ჭარ...
მუ ოხვარ უმინჯურს,
აწოჸუნს რჷნტუ შხურსჷ,
კიბირეფით იძიცანან
დაჩხირ ონტუ ჩქიმი გურსჷ.

### ბორჯიქ წართ

ჩქიმი სქვამი აფხაზეთი,
ომბოლი დო უმინჯურ რე...
სამარგალო დამუნჯებე,
გერგეზეფიშჷ ოჭკადურე...
ბორჯიქ წართ, მერეთი რე,
ამდღა ვაიჩქ მინ, მის მურე,
ოდაბადე მიდაღალირ,
გულულ კოლხი უჩონგურე...
ტერი ფთხოზუ,
სოიშახ ფთვალა,
„სი უჩხონჩხე, სი უგურე“,
მარა ღორონთს თის ფთხულე,
სქანი გურსჷ ქჷგვოლურე...

### ჩქიმი ნინა, ნანინა

ჩქიმი ნინა, ნანინა,
გურს პეულებს გჷმობინა,
იბერეფი გოჭყვადეს,
კოლხიქ ხვალე მუ ფქიმინა,
ქორთუ ჯიმა ქუმაფუქდა,
განშე მუშენ ოჸვირინა...
ჯიმა რექ და ჯიმალურო,
იპუათ დო ორდას რინა,
ჩქიმ ჯგირს მუშენ
გიოფულანქ,
სქანოთ მუშენ მითმიძინაქ...
ხვალე ველანს განიშ ხორხი,
ხე ოკო დო ილარინა,
გულღიათ ვაგლართიდა,
ჯგრს ვამილანს განშე ჯინა...
ნანინას ქიბირქიდა,
სქანობურო ვალილინა,
ეშმაკებს ქალასხაპდა,
ნტერს დასკიდჷ ჸუდე — ბინა...
პირჯვარჷ ართო იბწერათ,
ქიანას ოკო მჷკოჯინა,
გინვოტუათ შურობუმუ,
არკვანი დო ჩქინ ნანინა...

### სუმარჷ ვორექ ქიანას

სოფელჷ მუს მამარდუქ,
სქან გორჩქინელ ვორდე ვარა,
დღაშ დო სერით იბხანდუქ,
ვამოკონო შურიშჷ ღალა...
ართგანეფი იბირს მარა,
ბრელი ხოლო დუს იჭყანა,
დიხა სქანოთ მიგორჩქუნი,
ღორონთიშ კარს ვაგილ ჭყანა...
სტუმარ ვორექ ქიანას,
ქუვორკინუქ ჩქიმი დღას,
ძორი სი თაქ ქოგიღუდას,
ღორონთ გომჯანს მუში კარს...

### ქაჯეთ ოკო გოტახანი

ნესტანი რე აფხაზეთჷ,
ტარიელიშჷ ჸოროფილი,
მაჸალეში უძირაფუ
გილურს გური გოსოფილი,
ყილო კიდირს ოხუტოლჷ,
ხეშა აფუ სხუპაფილი,
ავთანდილიშ ნაგორათ,
ქაჯეფს ჸოფჷ ჸონაფილი.

ფრიდონ ჯარს შაყარანს,
ქაჯეთ ოკო გოტახანი,
ტარიელჷ მიშერჩხუდ
ჩილამურს თეზმა ხანპი,
დინაფილი მიოჩქუდჷ
ბჟა დო თუთა — დარეჯანი,
მეურსჷ დო მიგურგინ,
ქაჯეფჷ ღურუს ელუდანი.

### ჩქიმი ღურა

სი თქვი: „წორო ვორდათია“,
მა მართალი ქიმიბრჩქინი,
უკულჷ ვიშო მიდართი დო
მუქ მოხვადუნ ვადომჩინი...
ასე შარაშჷ მაჯინუსჷ,
თოლს დინაფილ მაფ ჩინი...
გელჷქ, მარა ვამკორჩქინდი,
ქიჯინექჷ გური ჭვილი...
ბორჯიქ დიშირ აზრეფით,
გჷმაშინე დღალეფჷ ჯგირი,
რჷორუნქ, თოლქჷ ვამმაკინდუ,
ღორონთ სქან დუდ ქუმოძირი...
მენდი არძაშჷ ბოლოს ღურუ
სქან სანთელო, სქანი ჭირი,
გურ მუთუნით ალგოჭვეო,
ჩქიმი ღურა, თი დღა ჭვილი...

### ვაგუფალუ პილატეს

ქრისტე ჯვარსი აცვეს, მარა
ვაგუფალუ პილატეს,
ნჯარი ამდღათ ჸვილუნს
ბრელს დო
ჲუდა იშენთ იუდენს...
ქრისტეს ძმარს არძენდეს დო
ბარაბას ოცქვანდეს,
წანებს წანა მეთხოზ, მარა
ცოდაქ ვამკაბონინეს...

### ჰამო დღაქ ვამაჭარ

თეშით მუჭო ქუსხუნუდ
მილარინა კარეშა,
აფსუაქ ქჷმომჸონუ
ტერი ოლაფარეშა,
ჰამო დღაქ ვამაჭარ,
გომთირუეს წარეშა,
მონატრ, მარა ვანმართინე,
ოდაბადე მხარეშა...

აფსუაში ჭყოლოფუათ
ინგირს ურჩხულქ ქალენჯირუ,
ხუჯებს ჭინკეფ გლახე დო
ნასაქვარით გურ გიჯგირუ,
უმუმალე მოდგმა რენი,
ირო ტერსუ ელაბირუ,
იუდაში ვარჩხილიშა,
ჩქინი დიხა კვათ დო ჭკირუ...

ამდღა ათე სურათ ორე,
იბირს დემიშჷ ფანდური,
„ვაი შური საყვარელი“
თვალუნს კოლხის ჩონგური,
არძა თისი მივოჯინეთ,
მუჟამ კურცხუ ენგური,
ქალახუშანს უჩა ზღვასი,
ეთორქია ხანგური.
თეშით მუჭო ქუსხუნუდ
მილარინა კარეშა,
აფსუაქ ქჷმომჸონუ
ტერი ოლაფარეშა,
ჰამო დღაქ ვამაჭარ,
გომთირუეს ნწარეშა,
მონატრ მარა, ვანმართინე
ოდაბადე მხარეშა...

### სო ფუბრინა

**„ქარწყექ , ჰავაქ ქიდირქუ,**
**ფსუა გეკავარჩხილე!“**
**„გვიმარა“.**
**გური ოტოგაია**

თე ქიანაშ გინმაჯინეს
შურო ვამილამუ რინა,
მიქ დო მიქჷ ვეკიბრალუ
ჩქინი ჯგირი ნაქიმინა.
თათარსჷ დო სომეხის
ქართის მეტი ულუ რინა,
ბაიათემს იბირა დო
ოთაკილნა ჩქინი ნინა.
ჭანი შურო ვეჭაჭანუ,
ლაზის თურქშე ოკო რტინა,
მა საწყალი მარგალჷ კოჩიქ
სო ინტა დო სო ფუბრინა.

### სი გიბირუ ზოსიმექ

ჩქიმი ნინა, ჰამო რექ,
სი გიბირუ ზოსიმექ,
ოთხ დღაშჷ ღურელჷ რდენჷ
ათენერო გოსიმექ,
სქანი სიალალეშენ,
ულურალშო გოზიმექ.
სი ლურს, ვარა ვაღურექ,
სი სისმარეფს აზარენქ,
მარა კურცხას ქუმოურთუმ,
დო გითინი ლაზარექ.

### იბჭუქჷ დო იბხალუქჷ

რუში დუს ალმუარჩქილექ
მაფშალიაშჷ ნაბირას,
ჩილამური მუმანტებჷ,
მითჷმჷაკათუ წყარჷ მალს.
იბჭუქჷ დო იბხალუქჷ,
ჟიშე ველუქ წყალობას,
ცას ღორონს მოსაშველეს
მევუჩინანქ მადლობას...
გური მუჭო ელეღინე,
მაძირექჷ ქოძირას?!
მერძიებულჷ ეფი ღირჷ,
ვეგმიჩინე დღას ძვირას.
დღაშჷ დო სერით გილაბგორჷნქ
ალმასეფიში ძიას...
თამარჷ მაფა ამდღა ხოლო
იხვამანსჷ ვარძიას.
ჩქინ ამბროსი ხელაია
ჯვარს გინმაწერს ქიანას,
საქორთუოშ გაჭირება
ქუჯჷ დო ცოტნეს ქაძირას.
ნტერ ბორქომით მიკილანს
ინგირი დო რუხიშჷ კარს,
ჩონგურჷ თვალუნს
ჯვეშობურო
„ჩელასი“ დო „ნანინა“.
უკოჩობაშჷ კოჩი ამდღა
ქიანას ეწოჸუნს,
სამართალს კირიბწკუმა
ნგერი მუშოთ იწონუნს.
უმინჯურო ცოდა შხური
ჸევე თხასჷ ეკოჸუნს,
ნორტყისჷ დო ოძიგირეს
ვარდი დღას ვეფალუნს.
გუმოჩამილ კოლხი ვორექ,
ვობუნქ ჩხე-ჩხე ჩილამურს,
ოდაბადე მიდაღალირს
მუ მუკომრდუნს
ჭყოლირ გურს?
თხოზუნა დო მიწონენა
ნანინასი მარგალურს,
ღორონთიში ჭყოლოფუა,
ჩე დღა ხოლო ქუმოურს.
ირემ მიდგას უჭვალუნი,
კინი თინა გეჭვალუნს,
კალმახაში მაჭოფალი
ორაგულსჷთ ოჭოფუნს.
მაჸალეში მაგორალჷ ზჷნთხჷ
გვართა ზღვასჷ გენჩურუნს,
მუმულჷ ქილორჷ კოდორ პიჯშე
დუს იჸვილაფჷ, ჸიონუნს.

### ქუმუძახუქ ნანინას

ნძორით ათაქ ვორექ, ვარა
შურობუმუს მიხე შური,
თენა რენო ჩქიმი ჭარა,
ხაშილჷ გურჷ დო ჩილამური.
ჭკუმილ ვაფუქ სიზმარეფს,
ბგორუნქ ბაბაშჷ საფულეს,
ათაშჷ როსტოკაკა შორო
გოფთხოზუქ ჩქიმ ოზეს...
ღორონთ თეში ვაპილას,
ვადუართე ჩქიმ ჯარგვალს,
გინორთვილი ჩქიმჷ ჭიშკარს,
ქუმოუძახუქ ნანინას...

### ჯიმა, გელუქი

მარგალჷ ვორექჷ,
გურჷ მაფ ხალირი,
ჩქიმჷ ჯუმა ლაზი,
მაფუქ ხვამილი...
ართი ბაბაში ვორეთი ბერე,
ვაგორწყედინჷ თეშჷ
მუსხი გიფერე.
ეშმაკი პუნა ჟირხოლოს ნტერი,
თეურე მოურსი თურმე
ირფელი...
ჩქიმი ნანინა სარკოდ ენწყილი,
ორაგადე რე ჰამო მენწყილი,
ღორონთის ფთხულე,
გევორძ სანთელი,
ქომუჩან რინა ანწი ნათელი...
ჯუმა, გელუქი, კარი გუვონჯი,
განათებული მოურსჷ ბორჯი...

### დღას ვეუაფ კალმახა

მელა გინორთელე ნგერო,
ხალხ ქიგერე უჩა დღას,
ჩქინ ოჭკუმალს მიკიზვირთუ
იქირქოლ დო იძიცანს....
მიქ ძირ მონაშჷ ნაღელ ლელო,
ვარა ტურა ყოფირ ბერო.
შხვაშჷ ოგვაჯეშჷ კარკალერო,
სკანოთ კვერცხი მირჩქინენო...
ვარენ თიზმას დირხანს ბრელი,
სერს ერკინებ ირო დღა,
ღორჯოშჷ სქუა ღორჯო რე დო
დღას ვეუაფჷ კალმახა.

### თუთა ქოუხვამილუაფნა

ოდაბადე, უსქანეთჷ
რინა რენო ჩქიმი რინა?
მაზაკვალეფქ ქუმორთეს დო
ინგჷრს ქიდიდვეს ბინა.
თარაშ ემხვარს ოსიზმარ
არამხუტუ ვერეხი,
ბორჯგიქ გაჩერდ,
სარკოს ვორწყექ,
ცაშე მოურს მერეხი.
ლუკაია ამბეფს მოჸუნს,
ხვამანს ღორონთ მარდიანს,
ოდიშიშ კარს ქეშეფხვადათ
გერგეზ ცოტნე დადიანს.
თარაშ ემხვარ ინგჷრს ორკინ,
თუთა ქუხვამილუაფნა,
„ოდოიაშჷ“ მაბირეფჷ
ცაკორკონტის ქელენჭაფნა.

### მუს რაგადანს მოლაღური

მუს რაგადანს მოლაღური,
ხაშილჷ მაფუ შურჷ დო გური,
ვართი ფსქიდი, ვართი ბღური,
სო ვორექ მა უბედური.
სქანი გეშა ვამიღ რული,
შურობუმუ ჩქიმი შური,
სქან ჸოროფაშჷ ჸუმენული,
ქომჯინი დო ქუმოული.

### მაჭუ გურსუ

თენა მითინს ვაგუგონებ,
თეშენ მათი მაჭუ გურსუ,
დიდი წკუმა ჭიჭეშ მართალს,
ვამკურთუმ დო ვართ
მუკურსუ...

# ნანაში ნინაშა

მიქ ძირჷ ჩიტი ჭოფუნდჷ ქირსუ,
ჭყირჷ ზოთონჯის ხარუნდ თირსუ,
ართო მუჭო აბირენა,
ყვარია დო მოლაღურსუ?

### გვალეფი

მიჸორს გვალეფი,
რულერჷ წყარეფი.
დუც მუნაფაში ყაბალახეფი,
სარკო დემეფი, არამხუტეფი,
ცა დო დიხაშა მონჭაფილეფი.

### მიქ კოროცხუ მურიცხეფი

მიქ კოროცხუ მურიცხეფი
ცაშ ღორონთიშ მიკნაჭკადა,
გურს ბრელი მიჭირს მარა,
იფრელს ართო ვა ბრაგადა.
ჩელა გიჭირს ჯვეშობურო,
სი მიჸორქ ჩქიმ ნაბადა,
ღორონთ ჭყანა ქომუჩი დო
ნტერს მა ხვალე დობრაბადა.

## გური ოტობაია
**(გულადი ფეტელავა)**
**(06. 09. 1952 წ.)**

### მაფშალია

ჩქიმჷ ქჷანაში მაფშალია,
შხვაშჷ ქჷანაშა ვაფურინა,
გოლვაფირო უსქანეთჷ
გეწკურილი მაფუ რინა.

სქანჷ ოგვაჯეშჷ ხეშქაგური
ჩილამურით მაფუ ეფშა,
სქანი ართი ბირაშენი
თე შურს ხოლო ღურუს მეფჩა.

საქორთუოშჷ ჩე ქიცა რე
თე გოთანა ხვარჩალია
შხვაშჷ ქჷიანაშა ვაფურინა,
ჩქიმჷ ქჷანაში მაფშალია.

გონწყი ფსუა დო კისერი
თუთაშფერი ქუმოძირი,
არძა ჩქიმდა, არძა ჩქიმდა
სქანჷ ჭუა დო სქანი ჭირი.

უღურჭულე წკონდა ღალეფს,
წვირალ თხუმჷ დო მაბჟალიას,
შხვაშჷ ქჷანაშა ვაფურინა
ჩქიმჷ ქჷანაში მაფშალია.
**1977 წ.**

### ჭიჭე ფარა

ჯიბეს მონტუ ჭიჭე ფარა,
დიაჩქიმიშჷ ნაცხვაბარა,
ვაიკვენანო, ვემვონგარა,
ვაიკვენანო, ვემვოლვარა,
ჭვეთ-ჭვეთითუ ნაშაყარა,
ჯიბეს მონტუ ჭიჭე ფარა.
**1977 წ.**

### გატყარებე ჩქიმი ჸუდე

გატყარებე ჩქიმი ჸუდე,
ინჭირიას გოუფალჷ,
ლაკაციაშჷ ნოჸელეფჷ
ჟინჷ ბორიას დოურქალჷ.

კაკლარიშჷ კიბირეფჷ,
ღანდას მითოვარკალანს,
ხუმლა-ხუმლა ნოჸელეფს
კოპა მიკოხარკალანს,

სო რე ფურკი გიროხილჷ,
მინდორც ნოხო დორჩაფილჷ,
კარჷ თილსერო ღირწკინუნს,
ჸუჯიშჷ ჯინშა გონჯამილჷ.

ვამაპალუ შურო გურჷ,
გურჷ ეფშა რე ღალეფითჷ,
გილეცხვაბარ დიაჩქიმჷ,
მოპურახილჷ ვალეფითჷ.

ფუფჷ უჩხონჩხე გეფრჩქინექ,
ზისხირჷ სო რე ჯვეშეფიშჷ,
თურმე თუდო მინოპვექ,
მა მიჩქუდუ ეშე მიფშჷ.

დოცუმილჷ რე ნოჸელეფჷ,
ითამ დემეფს გოუხვალჷ,
გატყარებე ჩქიმი ჸუდე,
ინჭირიას გოუფალჷ.
**1977 წ.**

### ნანაია

ნანაია, შხვა ვორდჷ ირო,
გეჷრჩქინუქო სქანი ჭირო,
ჩქიმდა მითინს ვაგაგებუ,
სქანჷ მეტისჷ გოლვაფირო.
სქანჷ სისმარეფჷ მოფუნს ჸუჩე,
ჸორონთჷ ვორექ გური ქუჩე,
ვაგმაკურცხინ, მარა ქიბგინ
ნორჩალ მუჭო ელამკუჭე.

ერჩქინაშე ხანგა ვორდი,
სო ვებდი დო სო ვავორდი,
სქვამ ცირეფსჷ ქეკვოდინი,
ჩქიმი რინა შქაშა გობრთი.

უდღანუნა ნან, ჩქიმჯგურეფს,
მოჯგირეფქჷ მიმენდურეს,
მარა ლერსეფქ ამაქექეს
დო ჟი დო ჟი მიდამტყურეს.

ვარე ჰავაშჷ ფიჩუ-ფაჩუ,
შურქ თიცალო გგმაფაჩუ,
კოჩიშჷ თოლით უძირაფუ
ოროეფი გიმაქვაჩუ.

ვამგმართინე ანწი გიმე,
გურიშჷ ქვინჯი ოკო ბზიმე,
კოჩიშჷ ჸუჯით ურჩქილაფუ
ხონარეფი ელმასიმე.

ქიშილებე დაჩხირქ დირკას,
დაჩხირჷ მუშო ოკო ნირგას,
მა შილებე გეგნობტირხე,
მარა გურქ დღას ვამოდირკას.

სქანჷ ზისხირქ რე გამაჸალუ,
სქანჷ მასქვამა მი მაპალუ?!
ღორონთიში ნოჸელაშე,
თურმე ღორონთს გელამფალუ.
**1978 წ.**

### გურშა ქომიხუტოლეთ

ტანჷ თქვანით რე მახუაფუ,
თქვანით ვორექ ჩალაია,
გურშა ქომიხუტოლეთჷ,
ჯალეფჷ ოქვაჩალაია.

გურშა ქომიხუტელეთ
ეკობეჭილ ოროთი,
ნიტე ვამხუმუანდასჷ
თქვან სინთესჷ ღორონთი.

ბრელშა მიძირ ჸოროფილჷ,
წყარც თქვანცალო ელებირდ,
კუჩხეფ ვიშო ენუძუდ დო
ორკოლც ბონუნდ ხელეფით.

ჸოხ, წყარჷ მუჭო ხვარჩალანდ,
ქუეფს მუჭო ვარკალანდ,
ჩქიმჷ ჸოროფა შურდგუმილს
მის ალინე ართ ღალათ!

ტანჷ თქვანით რე მახუაფუ,
თქვანით ვორექ ჩალაია,
გურშა ქომიხუტოლეთ
ჯალეფჷ ოქვაჩალაია.
**1978 წ.**

### გესერელჷ ბორჯიშ ობირეში

ჰავაქ ქჷანა ამარ-ამარჷ მომბოლას,
არქა, კოლი, ამსერჷ ვადმაომბოლა!
ვემჷოტუა ბირა ჭერჭე ბორჯიში,
ეგება მათჷ გემწობჭოფე ოჭიში!
გური ყამათ თიზმაშა რე ნაზმა,
ვამოკონა ჯიმაკოჩი მასჷმა!
**1978 წ.**

### სისმარი

ღუმა ოტობურჷ ცირეფს,
თოლსერჷ სისმარჷ მუძირე,
ტანს პეულეფჷ მიკმოქუნდ,
მუჭოთ გვალაშჷ დუცი რე.
ღუმა ოტობურჷ ცირეფს,
თოლსერჷ სისმარჷ მუძირე,
ორთუმელშა ნოჸელეფჷ
ტკიბირშორო მუცირე.
ღუმა ოტობურჷ ცირეფს,
ვენტი, ვენტი მუთი რე,
ხვალე ართის ვადორულაფ,
ნამუთ ჸათე გურცი რე.
ნამუთ ჸათე გურცი რე,
ჸოროფილცჷ ქუჯინე,
ღუმა ოტობურჷ ცირეფს,
თოლსერჷ სისმარჷ მუძირე.
**1978 წ.**

### თე გურცალო

თე გურცალო ბჟასჷთ ვანტუ,
იბორბონჯ დო იკვარკვანტუ,
ზღვაპიც სქვერი მირულენ თუ
ჸოროფილქჷ ეწმალანტუ?
ჩილამურის ჭვემას ფთასუ,
ბჟა დო თუთაშჷ ეკორთასუ,
ჸოროფილიშჷ თუმა რენ თუ
ჯიჭონეფი იგვარგვასუ?
თე ტანჷ სოვრენჷ ხუროქ თოლუ,
წყარქ მუჭო რე მეუქურთოლუ,
ჸოროფილიშჷ ხურხი რენ თუ
ზღვაში ქვიშა მოხუტოლუ?
**1978 წ.**

### ბალანობა გემაშინე ჩქინი

ჩქიმი ელხე, ჩქიმ გურიში ჭუა,
სოვრე იბდა, სოვრეშე იმნჭუა,
ქიფრჩინუქ დო იშენ ვორექ ჩქიჩქი,
გურსჷ ბონდღჷნსჷ თოლეფიში ჩხვიჩხვი.
ბალანობა გიმაშინე ჩქინი,
მუსხი სერჷ დო ჭუას გივორჯგინი?!

ჩქიმ შარა რე ჩეშმანი დო თინუ,
სქანჷ თოლეფშა დღასუ ვამანტინუ,
მუ დაჩხირჷ რდუ დორზამილჷ თე გურსუ?!
ოხოხოი, მუსხი მუთუნს გურზუ,
ბალანობა გიმაშინე ჩქინი,
მუსხი სერჷ დო ჭუას გივორჯგინი?!

მირაგადნა: გილურცია ხვალე,
(მის დართინე ბორჯი უკახალე?!)
ჯიჭონეფცჷ გოჸუნცია ირო,
დოჸუნცია ჰავას, გოლვაფირო,
ბალანობა გიმაშინე ჩქინი,
მუსხი სერჷ დო ჭუას გივორჯგინი?!

ჸურენცია ლალა ქომონჯისუ,
ნორჩალიშო ჸუმენცია ისუ,
სი ჩქიმჷ სერეფს ოთანუანქ ძღაბი,
ტყურათ რენო შური დომიჟვაბი?!
ბალანობა გიმაშინე ჩქინი,
მუსხი სერჷ დო ჭუას გივორჯგინი?!

მორთი, ცირა, ქომიძირე აკა,
ქოძირჷ თე გურს მუჭო გილაკვაკვა,
ქოძირჷ თე გურს მუშჷ მასქვამა რექუ,
ქოძირჷ, ქოძირჷ, მუჭო გიმოჭვენქუ,
ბალანობა გიმაშინე ჩქინი,
მუსხი სერჷ დო ჭუას გივორჯგინი?!
**1978 წ.**

### ელხე

მა დო ჩქიმი ელხესჷ
ნირსეფჷ მუმოგუძუნა,
ინგირჷ პიჯის ფურცელით
დოყურშილი თხუმწკუმა.
მართუს მეთხოზ მართუ დო
ხუმინუნსჷ ფაფალა,
გასურებე სერწკუმა
დღაში ეკონთხაფალა.
რცხონილჷ აფუ ზღოურსჷ
რატიეფიშჷ ნაჭალი,
სამოხიოს მეჭყვადრე
ბალანეფიშჷ ჭაჭალი.
ხერზელჷ ჸუჩა მინჭუაფჷ,
შუმილჷ მიონჩვალანსუ,
ხვალე თოლჷ რე ქვერსემელ
კინ თოლიში ჩალამსუ.
1978 წ.

### ჸათე ძღაბი

ჸათე ძღაბი, ჸათე რინტუ,
მალას ხეშე გეგნოზგირტუ,
მიტირტინ დო მიკეკუანს,
აკაბურცხა ვამიკინდუ.
ბოგიშჷ ბოგიშჷ ბოგი მაფუ,
ნიტე შურო სოთინჷ ვაპუ,
ქეთიმნჯირუქ ოროს, ვარა
ხათე ხასლას ქელმარტყაპუ.
გამალეათჷ მინდორს ფცალუ,
ეკობთხოზჷნ, მი ანძალუ,
ნაცალასჷ ქეშეშხვართუ,
ირფელჷ ართო მაცანცალუ.
ამარ-ამარჷ სკუათ მოსქუ,
წყარშა კაბათ გენმათხოზუ,
იშქვიდუდუნ მიჩქუდუ დო
დახე მართუს ქენმოქოსუ.
ჩქიმი რინა მუშა ღირუ,
ქეთიძიცუ, ქეთიბირუ,
ხუჯის ხურხი ქიგნობდუ დო
ხელეფჷ კისერს ქიგომკირუ.
მართუშორო ზისხირჷ ფუნსუ,
გობჯუნუნს დო გობსხუპუნსუ,
ჩქიმჷ ჸოროფილჷ გნტებული რე,
მი რე მოხუტოლუ გურსუ?!
ცას მუნაფაშჷ პირეფჷ მობუ,
უქვინჯე რე თოლიშჷ რობუ,
ბჯუნუნსუ დო ფუცქინუნსუ,
მე მიჩქ დუდუ ქომჸოროფუ.
**1978 წ.**

### ქა-შქვილი დო ქა-საგანი

ქა-შქვილი დო ქა-საგანი,
ვამჩათ ოკო გასაქანი,
პაპუში რდუ, ასე ჩქიმჷ რე,
უკულჷ შხვეფქ გასხაპანი.
ქა-შქვილი დო ქა-საგანი,
ვამჩათ ოკო გასაქანი,
ჩქი მიქ მუჩეს საქორთუო
ეშმაკიში გაზაკვალი?!
ქა-შქვილი დო ქა-საგანი,
ვამჩათ ოკო გასაქანი,
ჯიმა რდასჷნ — უოჭიშეს
დიარა დღას გიოჭიშე!
ქა-შქვილი დო ქა-საგანი,
ვამჩათ ოკო გასაქანი...
**1978 წ.**

### შურიშლაფა

სქანჷ სისმარეფსჷ გილუღუქ, ნანა,
უჩათ გონწერილჷ მარცხას ფშუქ მა სი,
მორო ქეკვალი ირნერი ჭყანა,
უქვინჯე ცას დო ღვინიშჷ შუმასი.
ნანა, ქონებამ ცირა მოძირეს,
თიშმაჯანგარა — ინგირს ვარჩხუნი,
ნანა, ქომიწი, მუ ბჟა მოწინე
შური ოშნერო მიკმაკვარჩხუნი?!
მუშენ ვემნტირექ შუბარზამ ხორცის,
ღვინშე ჩქიმცალო ბრელი დინაფე,
მუმაშჷ საფულე ევრე ქოჷ წონწნის,
ავრე აფთიაქ გონწკვირინაფე.
თე კვარჩხი რინას მუს ევალექუ,
ფერი ლანდღვა დო ფერი ტომბა რე,
დიო გობძვალეს მორიალეფქუ,
უკულჷ ქომრთინუ ქჷანაქ ოფარე.
სქანჷ სისმარეფსჷ გილუღუქ, ნანა,
მაფაშე ჭყელი, ზღვაზღვილ-შოლირი,
ჟინცას ზისხირელჷ თოლით ნარჩქვანა
ვოძჷქ ლურიშე გიშათოლირი.
უჯინექ მინშა პოპორელჷ ინგირს,
მუჟამს სოვრეთინჷ ვეპალუ მორსხა,
მუჟამს შურჷ ჸურანს დო ართო ინკირს,
მუჟამს კუჩხეფსჷ ათმორღვუ ნორცხვა.
სქანჷ სისმარეფსჷ გილუღუქ, ნანა,
უჩათ გონწერილჷ მარცხას ფშუქ მა სი,
მორო ქეკვალი ირნერი ჭყანა,
უქვინჯე ცას დო ღვინიშჷ შუმასი.
**1979 წ.**

### მამდა

გვალო შხვა რე მამიში
ოდა ქრავაშჷ კართამი,
მუჟამს ჭვიმა მაკათუ
ვარჩხილიში ღართამი.
მუჟამს იბირს ყამბარი,
კატუ თხილანს კარეფსუ
დო კაკალანს თამარა
ჭიტა ლაიტიშჷ ტარეფსუ.
მუჭო ოსქვანს კილოთი,
ართო ფსუა აჩანუ,
მუჟამს ბარდღაშჷ ბაღანა
ქვირშა ქიმიჩაჩანუ.
ჯვეშჷ დღალეფიშჷ გოშინა
ალდაჩხირეფს დარკენსუ,
ეთექ ბინკის გერნელო
ქიმჷაზადუ სარკესუ.
უკულჷ ბრელხანს კარკაცანს
წყარი, ვედრა დო ხერკე,
თუმა ყებურს ქეკოცენს —
ნოჸელჷ თირით დოხვერგე.
ნორჩალს ეთეშჷ გეკიჩუნს,
ითამ რდასჷ ნალიში,
ჩილამურით დირშვაპუ
კვეკვერია ბალიში.
**1979 წ.**

### ჭიჭა ხარჩილა

ჭიჭა გვარო ხარჩილა რე,
ჭიჭკეფიშა ნარჩქილა რე,
გვერეფჷ ჯიბეთ გილაჸუნსუ,
მენცარიში ნარჩქინა რე.
არკვანეფს დო ჭკუდის თოლუნს,
ჟამილჷ ჩქიჩქის ფურკით ლოლუნს,
თიშჷ სახელთ პატონანა,
ბაღანეფსუ ჩქინჷ გოხოლუს.
მითინს ვაულუ დარსქინალჷ,
რე ღურელიშ მარწკინალჷ,
კათა თეშჷ აფუ ეზიმილი,
ცინდა ვარე მაძინალჷ.
თეშჷ მახალსჷ მუ რე უხუ,
ღურელეფიშჷ ფერი ულუ,
ღურელს ეთეშჷ გოჷთინუნსუ,
ითამ სო რდუ დღასჷ პუხუ.
შხუ ორდას დო ჭიფე ორდას,
ქიდოუჭყანს ფერიშჷ მორთას,
გოხოკუნს დო თეშჷ გასქვამენს,
მინჯეს ოშქურ ვამწოდორთას.
ვართჷ ქისა აფუ ონკალარჷ,
ვართ ოცალარ-ომბარალჷ,
ჭიჭას ირფელ დონწყილ აფუ,
ხვალე ართ ულუ ონგარალჷ:
შხვა საქმეშა ვაგნართინე,
უკახლეთუ ვამკართინე,
ღურელს ირფელს ქუთინუნს დო
თიშა სახელჷ ვაგათინე.
**1979 წ.**

### წკონდა ვორექ

უკვანწუანს ჰავა ნუზუს,
ჩიტიშ ბირათ ეფშაფილს,
მა თინაშე მინწუ ძუძუ,
შურჷ წვანეთ მაფუ ერშვაპილჷ.
უღურალი ფერი მონტუ,
ნაშაყარა ცოდეფით,
ჩქიმჷ სიწკონდეს ოხვარ გონთუ
ოჭმარეფიშჷ ნოდეფით.
დიდაშჷ თუმაშჷ ფერჷ აძინუ,
თიშ ოროს დო სიქექეს,
თოლუბადო ის ვაცილუნ,
დღაჭუმენი ქიგეგენს.
შარაქ ოკო ირო იდას
გეზიმაფილჷ აკანით,
ჩქიმჷ სიწკონდეს მიორგიდას
ცხენქ ძუა დო ლაგამით.
წკონდა ვორექ, წკვარამეფსჷ
დუდი გეგნოფსირიტე,
მოკო ცოდა ჰარამეფსჷ
ჟღამი გეშუშქირიტე.
ლალაქ თუმა ირცხონას,
მა ბჟას წოხლე ეწოპუნქ,
ეხართელი ქირცხონას
კიბირეფით მეფსოფუნქ.
ჩქიმ სიწკონდეს ოხვარ რულა,
პიბრუნსუ დი ბლასირანს,
რულაქ გომთინ ირი ღულა,
მუქ რე ანწი მაცილას!
**1979 წ.**

### დებჯერაო?!

ჩქიმჷ კოკი დო ჩქიმი რეფი,
ჩქიმჷ ფიჩორიშჷ მინდორეფი,
ჭველეფჷ, მით ტყას მითორეთი,
ჸათე გურიშჷ ჭუა რეთი.
ჩქიმჷ ინგირჷ დო ჩქიმი ხურჩა,
ქელამჭიშეთ მუთჷ რე ხუჯშა,
ჰავა, ფურცელს სო მეხუშა,
ეშმანტირეთ არძა ხუშა.
ჩქიმჷ წისქვილჷ დო ჩქიმი კარე,
ჩქიმჷ ვარჩხილიშჷ ოჭუმარე,
დებჯერაო, გოლვაფირო,
შხვაში რენ დო ჩქიმი ვარე?!
**1993 წ.**

### დამორჩილი

მეურს ურემი, დამორჩილი რე,
სერჷ გინძე რე დო დღა მორჩილი რე,
ჯათ გორჩვილი რე თავრენჷ ჸურენი,
სამარგალოშო მოკო ბღურენი!
მეურს ურემი დო მირსიოლუ,
ჸოროფაქ დუდი მომირსიოლუ,
ტანჷ მარზიოლუნ, აკა მუ რენი?!
სამარგალოშო მოკო ბღურენი!
ემერჷ სქუა დო ემერჷ ჩილი რე,
შურჷ ფურცელეფით მოფორჩილი რე,
ფოფორჷ ჭვილი რე? ვეფანდურენი?
სამარგალოშო მოკო ბღურენი!
**1994 წ.**

### ჭეჭეთობა

ჭიჭიკელა, მერეკელა, ინტელა,
თე რინა რე მინჷ ღურა დო მინჷ — თელა,
გერნელჷ ვორეთ მადინაფუ შარას დო
ნტერიშჷ ჯინშე არქა, ვედიჸვინთელა!
ჭიჭიკელა, მერეკელა, ინტელა.
ტატაჩია, ტატურელი, ტატალი,
ჩუანს ღუმუს ქუდუჭყაფუ ჭყვარტალი,
დიდაშჷ ხელეფს უჯინენა მარდუეფჷ,
ბონჷ შარაშა ბრელჷ რე გიშაჭვართალი.
ტატაჩია, ტატურელი, ტატალი.
ოფოფორე, ფოფორია, ფაფარუ,
კინოხონიშჷ ნერჩი მოთაქ გაფარუ,
სოთინჷ მუთუნჷ ვეძირებე ოხორსუ
აბრაგი დო გერიშჷ გიონთხაფარუ.
ოფოფორე, ფოფორია, ფაფარუ.
კიკორია, კიკოდემი, კოკორო,
ქიდოჷტესო მაღაზეფი ხოკორო?!
გინორთექო მათუნთიაშჷ მანგურო?!
გინორთექო ჸუჯეფო დო ნოჸორო?!
კიკორია, კიკოდემი, კოკორო.
შიბარენი, იშიმბორი, იშიმბე!
ჯგირჷ დო სქვამით ჩილი გეგმოხიშიმბე,
მუჟამს იჸინ ქეკიტახა კვინჭიხეს,
მუჟამს იჸინ ეგებ ძალამს დიშიმბე.
შიბა რენ-და, იშიმბორი, იშიმბე!
**1994 წ.**

# 9 მაისი ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღეა!

# სტალინის სტრატეგიისა და ტაქტიკის დიადი გამარჯვება მოსკოვის მისადგომებთან

**„ყველა გზას მოსკოვში მივყავართ" — ასე შეიცვალა ცნობილი გამოთქმა "ყველა გზას რომში მივყავართ", როდესაც კრემლში სტალინი ნახევარღმერთად იჯდა კაცობრიობის მხსნელად. 1812 წელს პარიზში ერთ-ერთ წვეულებაზე ნაპოლეონ ბონაპარტემ რუსეთის სამხედრო ატაშეს ჰკითხა: "რომელია უმოკლესი გზა მოსკოვამდე?"**
**ატაშემ მრავალმნიშვნელოვნად უპასუხა: "მოსკოვში ბევრი გზა მიდის. მაგალითად, კარლ მეთორმეტე პოლტავის მხრიდან მიადგა მოსკოვს".**

ჰიტლერმა კი ზუსტად იცოდა მოსკოვში მისასვლელი ყველა გზა და შეკითხვის დასმა არ სჭირდებოდა, მაგრამ, მისდა საუბედუროდ, არც ის იკითხა, როგორ ბრუნდებოდნენ მოსკოვში „ჩასულები" უკან.

1941 წელს ჰიტლერმა თავის დირექტივაში ჩაწერა: „გრანდიოზული ნაგებობების შემწეობით იქ, სადაც დღეს ქალაქი მოსკოვია, ჩვენ უნდა შევქმნათ ზღვა, რომლითაც სამუდამოდ მოვწყვეტთ ცივილიზაციას რუსი ხალხის დედაქალაქს" (ამონარიდი ნიურნბერგის პროცესის მასალებიდან. ტ.1. გვ. 495)

1941 წლის 3 ოქტომბერს სვასტიკიანმა ტანკებმა შეანგრიეს ქალაქ ორიოლის ზღუდეები, 6 ოქტომბერს დაეცა ბრიანსკი, 12 ოქტომბერს — კალუგა. ვიაზმასთან ოთხი არმია ე.წ. ტომარაში მოექცა. მოსკოვი დაუცველი დარჩა.

დაიწყო კატასტროფული დღეები არა მხოლოდ მოსკოვისთვის, არამედ მსოფლიოსთვის. ბერლინი ზეიმობდა აღმოსავლეთში მიღწეულ უდიდეს გამარჯვებას.

მოსკოვში გაჩერდა ტრანსპორტი, არ მუშაობდა მაღაზიები — პროდუქტები უფასოდ დაურიგეს მოსკოვის მოსახლეობას. საბჭოეთის დედაქალაქის მისადგომებს მოადგა გერმანელთა რჩეული 80 დივიზია, მათ შორის, 14 სატანკო და 9 მოტორიზებული.

1941 წლის 15 ოქტომბერი. თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა გამოსცა ბრძანება №1, რომელშიც აღნიშნული იყო:

„მოჟაისკის თავდაცვის ხაზზე შექმნილი არახელსაყრელი მდგომარეობის გამო, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი ადგენს:

**1. დაევალოს ვ. მოლოტოვს, გამოუცხადოს უცხო ქვეყნების დიპლომატიურ მისიებს მათი ევაკუაციის აუცილებლობის შესახებ ქალაქ კუიბიშევში. ამხ. ლ. კაგანოვიჩმა უზრუნველყოს მისიებისთვის სარკინიგზო შემადგენლობების დროული მიწოდება. ამხ. ლ. ბერიამ უზრუნველყოს მათი უსაფრთხოება;**

**2. დღესვე ევაკუირებული იქნას უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, აგრეთვე, მთელი მთავრობის შემადგენლობა სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მოლოტოვის მეთაურობით (ამხანაგი სტალინი ევაკუირებული იქნება ხვალ ან ცოტა მოგვიანებით, მდგომარეობიდან გამომდინარე);**

**3. დაუყოვნებლივ ევაკუირებული იქნას თავდაცვის სახალხო კომისარიატი და საზღვაო სამინისტრო ქალაქ კუიბიშევში. გენერალური შტაბის ჯგუფი გადაყვანილი იქნეს არზამასში;**

**4. იმ შემთხვევაში, თუ მოწინააღმდეგემ შემოაღწია ქალაქის კარიბჭეში, დაევალოს ამხანაგ ლ. ბერიასა და ამხანაგ ა. შჩერბაკოვს, განახორციელონ საწყობებისა და დაწესებულებების აფეთქება, რომელთა ევაკუაციაც მტრის ხელში ჩავარდნამდე ვერ მოესწრება. აგრეთვე, გაანადგურონ მთელი ელექტრომოწყობილობა მეტროპოლიტენში და საკანალიზაციო სისტემები.**

**თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ი. სტალინი".**

1941 წლის 16 ოქტომბერს სტალინმა განაცხადა: „არავითარი ჩემი ევაკუაცია. ვრჩები მოსკოვში, გამარჯვებამდე" (ა. რიბინი, „სტალინთან ერთად", 1992წ., გვ. 25).

სტალინი უშუალოდ ჩაერთო მოსკოვის დაცვაში. 16 ოქტომბერს, საღამოს, ის გაემართა წინა ხაზზე მებრძოლ ა. ბელობოროდოვის დივიზიაში, რათა ჯარისკაცებთან ერთად გასცნობოდა საბრძოლო პოზიციებს, გასაუბრებოდა და გაემხნევებინა მეომრები. მივიდა სოფელ ლენინოში, მოინახულა დაჭრილები და მათგან მოისმინა, რომ ისინი მოსკოვისთვის სისხლის ბოლო წვეთამდე იბრძოლებდნენ.

გამთენიისას უკან დაბრუნებული სტალინი კიდევ დიდხანს დაჰყურებდა მოსკოვის სტრატეგიულ რუკას და აღნიშვნებს აკეთებდა მასზე.

ათას ვარიანტში საუკეთესოს არჩევდა:

**„მოსკოვის დაცემა, არა იმიტომ, რომ უკან დასახევი არ გვაქვს, საერთოდ, მიუღებელია, — ჯიუტად ამტკიცებდა სტალინი, — მოსკოვის დაცემა ნიშნავს, ფრთები შეისხას იაპონიის მილიტარიზმმა და მეორე ფრონტი გაგვიხსნას აღმოსავლეთიდან. ეს კი მეტისმეტად სახიფათო და დამღუპველია. ჩვენ ვერ ვიბრძოლებთ ორ ფრონტზე, რესურსი არ გვეყოფა. გაცილებით ადვილია, დავიცვათ მოსკოვი, ვიდრე ვიბრძოლოთ აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე".**

სტალინმა ჯადოსნური სვლები გააკეთა. სხვადასხვა არხითა და საშუალებით დაადგინა, რომ იაპონია ვერ რისკავდა მეორე ფრონტის გახსნას აღმოსავლეთში. სტალინმა ბრძანება გასცა, მოსკოვის ომის თეატრის ავანსცენაზე გამოეყვანათ გამობრძმედილი და გაკაჟებული ციმბირელები და ყაზახები. ვერავინ აღწერს იმ თავგანწირვასა და




ბრძოლის ჟინს, რომელიც ცეცხლმოკიდებულ მოსკოვში სტალინის ყოფნამ გამოიწვია მის მიერ მოხმობილ დამხმარე ძალებში.

20 ოქტომბერს მოსკოვი გადაიქცა სამხედრო ქალაქად. გზები გადაკეტილი იყო ტანკსაწინააღმდეგო ღობურებით. ქუჩაში გამოჩნდნენ პანიკიორები, დივერსანტები და პროვოკატორები, რომლებიც ხალხში ხმას ავრცელებდნენ, რომ მოსკოვი დაეცა, რომ სტალინი ქალაქიდან გაიქცა. გაიცა ყველა რჯულის მოღალატის ადგილზე ლიკვიდაციის განკარგულება. რამდენიმე საათში ქალაქში წესრიგი აღდგა. მოსკოვის დიდი თეატრის ცნობილი ტენორი სერგეი ლემეშევი, როდესაც სხვა მსახიობებთან ერთად კუიბიშევში გასამგზავრებლად ვაგონში ადიოდა, უცებ თავის ამხანაგებს მოსწყდა და ქუჩაში ყვირილით გამოვარდა: „რატომ უნდა წავიდე მე კუიბიშევში, როდესაც სტალინი მოსკოვშია და მასთან ერთად რატომ არ უნდა დავიცვა ჩემი მოსკოვი?!"

ლემეშევს უამრავი თანამზრახველი გამოუჩნდა და ცოტა ხანში პუშკინის ქუჩაზე მდებარე დიდი თეატრის ფილიალში გაიმართა გრანდიოზული კონცერტი, ხოლო 22 ნოემბერს — პეტრე ჩაიკოვსკის ოპერა „ევგენი ონეგინი".

როდესაც ამის შესახებ რადიოთი თუ თავიანთი მეთაურებისაგან სანგრებში ჩაწოლილმა თუ ტყეში გასულმა პარტიზანებმა შეიტყვეს, ყველას გამარჯვების იმედი ჩაესახა.

1941 წლის 5 ნოემბერს მოსკოვთან ახლოს მისულმა გერმანელმა ოფიცერმა ალბერტ ნეიმგენმა, რომელმაც შორიდან თვალი მოჰკრა კრემლის კურანტებს, დედას წერილი მისწერა:

„ძვირფასო დედა, ახლა მოვდივარ ჩვენი დივიზიის შტაბიდან, სადაც მოიტანეს ბრძანება მოსკოვზე უკანასკნელი შეტევის დაწყების შესახებ. მე ვნახე უშველებელი ზარბაზნები, რომლებიც საღამოს ცეცხლს გაუხსნიან კრემლს. მე ის დივიზიებიც ვნახე, რომლებიც პირველი შევლენ წითელ მოედანზე და მოინახულებენ ლენინის საფლავს. ეს ომის დამთავრებაა, დედა. მოსკოვი ჩვენია, რუსეთი ჩვენია, ჩვენია ევროპა. ხვალ წერილს მოსკოვიდან მოგწერ და აღგიწერ, როგორია ეს წყეული აზიური ქალაქი".

**მაგრამ ასე არ მოხდა.**

6 ნოემბერს მოსკოვის მეტროპოლიტენის ყველაზე ღრმა სადგურის — „მაიაკოვსკაიას" დარბაზში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 24-ე წლისთავის აღსანიშნავად გაიმართა მიტინგი, რომელზეც, როგორც წესი, სიტყვით




**1. დაევალოს ვ. მოლოტოვს, გამოუცხადოს უცხო ქვეყნების დიპლომატიურ მისიებს მათი ევაკუაციის აუცილებლობის შესახებ ქალაქ კუიბიშევში. ამხ. ლ. კაგანოვიჩმა უზრუნველყოს მისიებისთვის სარკინიგზო შემადგენლობების დროული მიწოდება. ამხ. ლ. ბერიამ უზრუნველყოს მათი უსაფრთხოება;**
**2. დღესვე ევაკუირებული იქნას უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, აგრეთვე, მთელი მთავრობის შემადგენლობა სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მოლოტოვის მეთაურობით (ამხანაგი სტალინი ევაკუირებული იქნება ხვალ ან ცოტა მოგვიანებით, მდგომარეობიდან გამომდინარე);**
**3. დაუყოვნებლივ ევაკუირებული იქნას თავდაცვის სახალხო კომისარიატი და საზღვაო სამინისტრო ქალაქ კუიბიშევში. გენერალური შტაბის ჯგუფი გადაყვანილი იქნეს არზამასში;**
**4. იმ შემთხვევაში, თუ მოწინააღმდეგემ შემოაღწია ქალაქის კარიბჭეში, დაევალოს ამხანაგ ლ. ბერიასა და ამხანაგ ა. შჩერბაკოვს, განახორციელონ საწყობებისა და დაწესებულებების აფეთქება, რომელთა ევაკუაციაც მტრის ხელში ჩავარდნამდე ვერ მოესწრება. აგრეთვე, გაანადგურონ მთელი ელექტრომოწყობილობა მეტროპოლიტენში და საკანალიზაციო სისტემები.**
**თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ი. სტალინი**

იოსებ სტალინი გამოვიდა:

„გერმანელ დამპყრობლებს გადაუწყვეტიათ, აწარმოონ გამანადგურებელი ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. რა გაეწყობა, რაკი გერმანელებს გამანადგურებელი ომი სურთ, ისინი მიიღებენ ამ ომს!”

7 ნოემბერს, დილით, გაიმართა სამხედრო აღლუმი, რომელიც მკაცრად გასაიდუმლოებულად მომზადდა. ამ აღლუმის შესახებ წინასწარ არაფერი იცოდნენ თვით მისმა მონაწილეებმაც კი.

მოსკოვის ჯარების სარდალმა პავლე არტემიევმა, როდესაც სამხედრო აღლუმის ჩატარების შესახებ შეიტყო, აღელვებულმა ჰკითხა სტალინს:

— მოსკოვის საჰაერო სივრცეში მტრის თვითმფრინავი რომ შემოიჭრას და დაბომბოს წითელი მოედანი?”

— მტრის ვერც ერთი თვითმფრინავი მოსკოვის საჰაერო სივრცეს ვერ დაარღვევს და, თუ ტრიბუნა მაინც დაბომბა, დაზარალებულები იქაურობას სასწრაფოდ მოაცილეთ, ხოლო აღლუმი არ შეაჩეროთ, — დატოვა ანდერძი სტალინმა, შემდეგ კი მავზოლეუმის ტრიბუნიდან ჯარებს მიმართა:

**„ამხანაგებო, წითელარმიელებო და წითელფლოტელებო, მეთაურებო და პოლიტმუშაკებო, პარტიზანებო! თქვენ შემოგყურებთ მთელი მსოფლიო, როგორც ძალას, რომელსაც ძალუძს, მოსპოს გერმანელ დამპყრობთა მძარცველი ურდოები. თქვენ შემოგყურებენ ევროპის დამონებული ხალხები, რომლებიც გერმანელ დამპყრობთა უღელქვეშ მოექცნენ, როგორც თავის განმათავისუფლებლებს. თქვენ წილად გხვდათ დიადი განმათავისუფლებელი მისია. მაშ, იყავით ამ მისიის ღირსნი! ომი, რომელსაც თქვენ ეწევით, არის განმათავისუფლებელი ომი, სამართლიანი ომი. დაე, ამ ომში თქვენ აღგაფრთოვანებდეთ ჩვენი დიდი წინაპრების — ალექსანდრე ნეველის, დიმიტრი დონსკოის, კუზმა მინინის, დიმიტრი პოჟარსკის, ალექსანდრე სუვოროვის, მიხეილ კუტუზოვის მამაცური სახეები! დაე, გფარავდეთ დიდი ლენინის ძლევამოსილი დროშა!**

**გერმანელ დამპყრობთა სრული განადგურებისთვის!**

**სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს!“**

1941 წლის 22 ივნისიდან 1941 წლის დასრულებამდე 49-ჯერ სცადეს გერმანელებმა მოსკოვის დაბომბვა. ამ ოპერაციებში მონაწილეობდა 3700 ბომბდამშენი. მოსკოვის საჰაერო სივრცე მხოლოდ 142 თვითმფრინავმა გადალახა, ხოლო მოსკოვისთვის საჰაერო ბრძოლებს მტრის 478 თვითმფრინავი შეეწირა.

მოსკოვისთვის ბრძოლის მთავარ ლოზუნგად იქცა პოლიტხელ ვასილ კლოჩკოს სიტყვები: „რუსეთი დიდია, მაგრამ უკან დასახევი ადგილი არ გვაქვს — უკან მოსკოვია“.

ლეგენდარული 316-ე მსროლელი დივიზია, რომელსაც გენერალ-მაიორი ივანე პანფილოვი მეთაურობდა, სამუდამოდ ჩაიწერა მოსკოვის ისტორიაში. სწორედ ამ დივიზიის მებრძოლებმა გაანადგურეს გერმანელთა საუკეთესო მე-2 სატანკო და 29-ე მოტორიზებული დივიზიები. აგრეთვე, მე-11 და 110-ე ქვეითთა დივიზიები, ჰიტლერის რჩეული არმიიდან.

სტალინის მიერ შემონახული რეზერვის შესახებ საბჭოთა კავშირის ბევრმა მაღალი რანგის პარტიულმა თუ სამხედრო ხელმძღვანელმა არ იცოდა, და, რა თქმა უნდა, არ იცოდა არც გერმანიის სამხედრო დაზვერვამ. სწორედ ახალ-ახალი დივიზიებისა და არმიების გამოჩენა აგდებდა „შოკში“ ჰიტლერს, რომელსაც ჩაუფლავდა მოსკოვისთვის ბრძოლის სტრატეგიაც და ტაქტიკაც. ის მხოლოდ ისტერიკულად გაჰკიოდა: „მომატყუეს!“.

როდესაც ჰიტლერის თაყანისმცემლები აანალიზებენ მოსკოვის ბრძოლებს, ამბობენ, ჰიტლერმა იმიტომ ვერ შეძლო საბჭოეთის დედაქალაქის აღება, რომ მის მისადგომებთან მთავარი მოწინააღმდეგე „გენერალი ტალახი“ დახვდა და ხელი შეუშალა გერმანელთა სამხედრო ტექნიკას ოპერაციების შესრულებაშიო.

საკითხავია, როგორი გზებით მოდიოდნენ მეტ-ნაკლებად კეთილმოწყობილ მოსკოვის მისადგომებამდე ვერმახტის ტანკები და რატომ აღმოჩნდა ასე გაუვალი მოასფალტებული მოსკოვის ქუჩები, რომლებშიც მათ დახვდა „გენერალი ტალახი“, ან იმ 3700 თვითმფრინავსაც ტალახი უშლიდა ხელს, მოსკოვში რომ ვერ შეაღწიეს?!

ჰიტლერის თაყვანისმცემელთა ამ თვალსაზრისის გასაბათილებლად საკმარისია, გაცნობა ერთი კურიოზული წერილის შინაარსისა, რომელიც მარშალმა ჟუკოვმა მთავარსარდალ სტალინს გაუგზავნა:

**„14 დეკემბერი 1941 წელი.**
**ამხანაგ სტალინს!**

**ფელდმარშალი გუდერიანის ტყვედ ჩავარდნილი არმიის ნაწილები, ყინვით შეწუხებულები, თხოვნით მოგვმართავენ, დავრთოთ ნება, ჩაიცვან საპარადო ტანსაცმელი, რომელიც მათ წამოღებული აქვთ თავიანთი გამარჯვების აღსანიშნავ აღლუმზე ჩასაცმელად.**

**ჟუკოვი“.**

როგორც ამ მოკლე წერილიდან ჩანს, მოსკოვის მისადგომებთან ჰიტლერელთა განადგურებაში „გენერალი ზამთარი“ და „გენერალი ტალახი“ არაფერ შუაშია. აქ ნათლად იკვეთება ვერმახტის მიერ სტალინისა და სტალინური რუსეთის შესაძლებლობების არასწორი შეფასება — ფაშისტებს ეგონათ, რომ საბჭოთა კავშირს 1941 წლის 7 ნოემბრამდე მოუღებდნენ ბოლოს.

მოსკოვის დაცვის ეპოპეა სამხედრო ხელოვნების ნათელი მაგალითია. სწორედ აქ გამოჩნდა სტალინის სამხედრო ეშმაკობა მოწინააღმდეგის მოტყუებისა, რომელსაც ძნელად თუ მოეძებნება ანალოგი მსოფლიოს ომების ისტორიაში.

სტალინმა მოსკოვთან დაწყებული ბრძოლები 1945 წლის 30 აპრილს ბერლინის შტურმით დაამთავრა, რომლის ნანგრევებშიც იწვოდა მსოფლიოზე გაბატონებით ფრთაშესხმული, შემდეგ კი სტალინთან ბრძოლაში თავლაფდასხმული ჰიტლერის ნეშტი.

ჟუკოვს, მის მიერ გაგზავნილ ცნობაზე 1 მაისის გამთენიისას ჰიტლერის თვითმკვლელობის შესახებ, სტალინმა უპასუხა: “დაიგრალსა და პადლეც?! თუ მეტი მნიშვნელოვანი არაფერი მოხდა ბერლინში, ნუ გამაღვიძებ, ხვალ ხომ დიდი ზეიმი გვაქვს — 1 მაისი“.

სტალინის სახელზე დედამიწის ყველა კუთხიდან მოდიოდა წერილები. ხალხი სიხარულს ვერ მალავდა. გათავისუფლებული ევროპა ყველა დიდი ქალაქის ყველა დიდ გზაჯვარედინზე სტალინის ბიუსტის დასადგმელად ემზადებოდა. მთელი ევროპა მოიცვა გამარჯვების სახელობის პარკებმა და იქ აღმართულმა განმათავისუფლებელი რუსი ჯარისკაცის ძეგლებმა. საბჭოეთში მშვიდობა მყარდებოდა. მილიტარისტული იაპონია თავის ნაჭუჭში იკეტებოდა, როდესაც „მშვიდობისმოყვარე და ადამიანის უფლებების დამცველმა“ ამერიკამ ახალგამოგონილი ატომური ბომბის გამოცდა მოაწყო და იაპონიის ორი ქალაქი — ნაგასაკი და ჰიროსიმა ჯოჯოხეთის ცეცხლის ალში გაახვია.

სტალინის ინიციატივით შეიქმნა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. მისი 5 წევრისგან შემდგარ უშიშროების საბჭოს სამუდამოდ უნდა უზრუნველეყო მშვიდობა მსოფლიოში. გარდაიცვალა სტალინი და დაიშალა საბჭოთა კავშირი.

დღეს ევროპა გვამუნათებს იმის გამო, რომ საქართველოში ჯერ კიდევ ვიღაცას ახსოვს სტალინის სახელი. არადა, მონობიდან დახსნილი ევროპის სახელით საფრანგეთის პრეზიდენტმა შარლ დე გოლმა 1945 წლის 9 მაისის სადღესასწაულო დღეებში დეპეშა გაუგზავნა სტალინს: „თუ დღეს ევროპა თავისუფალია, ეს სტალინისა და სტალინგრადის დამსახურებაა“.

თუ დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრი უინსტონ ჩერჩილი 1943 წელს „სანთელს უნთებდა დილა-საღამოს და ღმერთს ევედრებოდა სტალინის ჯანმრთელობას, რადგან მხოლოდ მას შეეძლო ეხსნა ევროპისა და მსოფლიო ცივილიზაცია“, ნუთუ იმხანად უფრო კარგად არ ახსოვდათ კოლექტივიზაციისა და 1937 წლის ტრაგიკული მოვლენები, ვიდრე დღეს, სტალინის გარდაცვალებიდან 63 წლის შემდეგ?!

მაგრამ არა, ჩემო მკითხველო, მიზეზი სხვა რამ არის.

დღეს ცივილიზებულმა და მორწმუნე ევროპამ თავისი ფეშენებელური ეკლესიებიდან ქალ-ვაჟი განდევნა და ახლა იქ მღვდელმსახურები კატებისა და ძაღლების ქორწინების ცერემონიას ატარებენ, ხოლო ეკლესიიდან გამოსულ ვაჟს ვაჟი მიჰყვება ცოლად, ქალს — ქალი, ცხოველურმა ინსტიქტებმა სძლია ადამიანურს. ამ ყველაფერს უფალი დაჰყურებს მაღლიდან და, თუ ამ სოდომსა და გომორას ზეციდან ცეცხლის ენები არ მოუვლინა, მაშინ უდაბნოებში ჩასაფრებული მფრინავი გველები მისრიალდებიან ამ უწმინდური ადამიანების ბუნაგთან და აღგვიან მას პირისაგან მიწისა.

ღმერთი ბოროტების დასათრგუნავად უფრო აღაზევებს სიკეთეს სხვა ქვეყანაში, რომელმაც უნდა სძლიოს სიბნელესა და ბოროტებას. ღმერთს, ალბათ, ეს “შავი სამუშაოც” უკვე დაწყებული აქვს.

დღეს კი, სამწუხაროდ, „დემოკრატიული” სამყარო ყველა უბედურებაში სტალინის კულტს ადანაშაულებს. სტალინი ბოროტების ღმერთად არის გამოცხადებული და თურმე ის არ ანებებს საზოგადოებას სწორად განვითრებას, ამიტომ უნდა დაემხოს არა როგორც კულტი, არამედ როგორც ღმერთი და სარწმუნოება, რათა ხალხს განვითარების საშუალება მიეცეს.

ალბათ, მსოფლიოს ისეთ „დემოკრატიულ განვითარებაზე“ ფიქრობენ, როგორც ერაყი, ლიბანი, სირია, ეგვიპტე, კოსოვო, ავღანეთი და სხვა ქვეყნები განავითარეს.

მივმართავ რუსეთის პრეზიდენტს — ვლადიმერ პუტინს:

ვლადიმერ ვლადიმერის ძევ!

კვლავ აღმართეთ კრემლზე დროშა წითელი, ძლევამოსილი, სტალინური გერბით დამშვენებული. არ დაგჭირდებათ არანაირი მოწოდება, ისე დადგება 300 მილიონი კაცი კვლავ თქვენ გვერდით, მათ მიემატება თავისუფლების მოყვარე და დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი მილიარდობით ადამიანი.

აღმართეთ თავისუფლების, ამერიკული იმპერიალიზმისგან თავის დახსნის, ევროპის კოლაფსიდან გამოყვანის, სოციალური თანასწორობის, თავისუფალი ცხოვრებისა და სიცოცხლის დროშა!

**გრიგოლ ონიანი**



**«მოსკოვის დაცემა, არა იმიტომ, რომ უკან დასახევი არ გვაქვს, საერთოდ, მიუღებელია, — ჯიუტად ამტკიცებდა სტალინი, — მოსკოვის დაცემა ნიშნავს, ფრთები შეისხას იაპონიის მილიტარიზმმა და მეორე ფრონტი გაგვიხსნას აღმოსავლეთიდან. ეს კი მეტისმეტად სახიფათო და დამღუპველია. ჩვენ ვერ ვიბრძოლებთ ორ ფრონტზე, რესურსი არ გვეყოფა. გაცილებით ადვილია, დავიცვათ მოსკოვი, ვიდრე ვიბრძოლოთ აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე»**



**«ამხანაგებო, წითელარმიელებო და წითელფლოტელებო, მეთაურებო და პოლიტმუშაკებო, პარტიზანებო! თქვენ შემოგყურებთ მთელი მსოფლიო, როგორც ძალას, რომელსაც ძალუძს, მოსპოს გერმანელ დამპყრობთა მძარცველი ურდოები. თქვენ შემოგყურებენ ევროპის დამონებული ხალხები, რომლებიც გერმანელ დამპყრობთა უღელქვეშ მოექცნენ, როგორც თავის განმათავისუფლებლებს. თქვენ წილად გხვდათ დიადი განმათავისუფლებელი მისია. მაშ, იყავით ამ მისიის ღირსნი! ომი, რომელსაც თქვენ ეწევით, არის განმათავისუფლებელი ომი, სამართლიანი ომი. დაე, ამ ომში თქვენ აღგაფრთოვანებდეთ ჩვენი დიდი წინაპრების — ალექსანდრე ნეველის, დიმიტრი დონსკოის, კუზმა მინინის, დიმიტრი პოჟარსკის, ალექსანდრე სუვოროვის, მიხეილ კუტუზოვის მამაცური სახეები! დაე, გფარავდეთ დიდი ლენინის ძლევამოსილი დროშა! გერმანელ დამპყრობთა სრული განადგურებისთვის! სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს!»**

# ვინ ინახავს მზეს გოგრაში და რატომ ათესინებდნენ მას «მრგვალი ფორმების» მქონე ქალებს ძველ სამეგრელოში?

## ნონა ქობალიას ბლოგი «მთვარის მოზაიკა»

**რატომ ინახავენ ღმერთები მზეს გოგრაში? რატომ ათესინებენ მას ცაშხას — ცის დღეს, დიდ ხუთშაბათს „მრგვალი ფორმების“ მქონე ქალებს? რა კავშირშია გოგრა აღდგომის სიმბოლიკასთან და რატომ არის იგი არქანგელოზ რაფაელისა და წმინდა იაკობ დიდის ატრიბუტი ქრისტიანულ იკონოგრაფიაში? რატომ ადევს ტაბუ მარნის კოპეს — ხერკეს? დღეს ვსაუბრობთ მშობლიურ მდინარეებზე ღამის წყვდიადში ამაყად მოცურავე მზე-გოგრებზე — პლანეტების ალღუმზე და ჯარგვლის წინკარში დაკიდებულ ჭურებზე. ხომ ძალიან მშობლიური და ლამაზია, მაგრამ იქნებ არც არის ეს ყველაფერი მარტივი?**

**კობეშია/კოპეშია — გოგრა მეგრული რიტუალური მისტერიებისა და ყოფის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ატრიბუტია. ეს უკავშირდება უძველეს რწმენა-წარმოდგენებს იმის შესახებ, რომ ღმერთები მზეს გოგრაში ინახავდნენ (კობეშიას მიშატყობინუანდეს). არის რაღაც კავშირი მზიანი ღამის სიმბოლოსა და გოგრაში შენახულ-დაფარულ მზეს შორის. სხვათაშორის, ჭურა ქრისტიანულ ეპოქაში უკავშირდება აღდგომის სიმბოლიკას და არქანგელოზ რაფაელისა და წმიდა იაკობ დიდის ატრიბუტია ქრისტიანულ იკონოგრაფიაში. იქნებ, ამიტომაც არის მოხარშული გოგრა ჩვენი სალოცავი ტაბლებისა და საკურთხის აუცილებელი ნაწილი.**

მნიშვნელოვანია, რომ გოგრას ამ ტაბლაზე უცილობლად ცხლად დებდნენ, — მისგან ამავალი ორთქლი სიმბოლურად განასახიერებდა სულის განთავისუფლებას სხეულისგან და ცად ამაღლებას.

მაგრამ დავუბრუნდეთ გოგრას, როგორც ნაყოფიერების ქალღერთის — ბენდიდას სიმბოლოს.

**გოგრის ხორცში (კობეშიაშ ძელი) მოთავსებული თესლ-ბლონდი (ბანდლი დო თასი) იყო ნიშანი, რომლითაც მას ამსგავსებდნენ დედის საშოს და მასში მოთავსებულ თესლს. შესაძლოა წმინდა პრაქტიკულ მოსაზრებასთან ერთად ესეც იყო გოგრის დაჭრის ძველი წესის საფუძველი, რასაც დღემდე ვიცავთ, როცა მას კეისრულად, ოთხზარულად (ოთხოზორულო) ვაპობთ და შემდეგ ვანაწევრებთ უფრო პატარა ნაჭრებად.**

ამასთან მეგრელები, სხვა ხალხების მსგავსად, გოგრაში ხედავდნენ არა მხოლოდ ნაყოფიერების სიმბოლოს, არამედ მინიატურულ კოსმოსს, მზეს, და მის სითბოს ( ბჟაშ ტიბინი), რასაც მათ კარნახობდა გოგრის სიმრგვალეც და მრავალთესლიანობაც (ამ შემთხვევაში, როგორც ვარსკვლავთმრავლობა).

**გოგრის, როგორც მზისა და ნაყოფიერების, კოსმოსის სიმბოლიკა განსაკუთრებით კარგად ჩანს გოგრის დათესვის რიტუალში, რომელიც ადრე უსათუოდ დიდ ხუთშაბათს, ცის დღეს — ცაშხადიდს იმართებოდა. ცაშხადიდი ცის, კოსმოსის დღე იყო, გოგრა — კოსმოსის მთავარი მნათობის, მზის სიმბოლო, და, შესაბამისად, სწორედ ამ დღის არჩევანში დევს ამ რიტუალის სიმბოლური და მისტიური ხასიათი.**

საინტერესოა, რომ გოგრა უთუოდ მსხვილი, მრგვალი ფორმების მქონე ქალს უნდა დაეთესა, თუ ოჯახში მხოლოდ გამხდარი ქალები იყვნენ, საამისოდ მეზობელ ქალს გადმოიპატიჟებდნენ და ამასთან მას ეს საცვალგახდილს, ბოდიში მომითხოვია, „მუნდუკურთეთ“ (საცვალგახდილს) უნდა გაეკეთებინა (ისევე, როგორც წიწაკის თესვისას).

ერთია პრიმიტიული ახსნა ამისა (გოგრაც მთესველივით მსხვილი იქნებოდა) და მეორე ის, რომ მსხვილი ფორმების ქალი ამ რიტუალში განასახიერებდა ბენდიდას — დიდ დედას, ნაყოფიერების ქალღმერთს, რომელიც სწორედ ასეთი წარმოედგინათ და ასეთს აღწერდნენ კიდეც მითებში, ლეგენდებში, ზღაპრებში და, თუ გნებავთ, ასეთია ნაყოფიერების ქალღმერთი თიხისგან გამოძერწილ თუ ქვაში ნაკვეთ ფიგურებში, რომელთაც ვხვდებით როგორც ჩვენში, ისე სხვა ქვეყნების არტეფაქტებში.

რაც შეეხება უსაცვლობას — ეს მოდიოდა ფალიკური კულტის დროიდან და იყო პირდაპირ კავშირში პირველქმნილ, დაუფარავ სქესობრივ აქტთან.

გოგრა, როგორც მზის სიმბოლო, ჭეჭეთობა სერიშ — ჭიაკოკონობის ღამის მაგიური რიტუალების უცილობელი ატრიბუტია. ამ ღამეს გოგრებს მათში გამოჭრილ ღიობებში შედგმული ანთებული სანთლებით წყალში შეაცურებდნენ, რასაც მისტიური ესთეტიკაც ქონდა — წყალში მოტივტივე, წყლის დინებას გაყოლილი მანათობელი გოგრები ულამაზესი სანახაობაც იყო და ამავე დროს ანთხენდეს — დაოთხილს აოკებდნენ წყლის ბოროტ სულებს — წყლის ჭინკებს, ჟამს, წყარპატონეფს, რომელნიც უფრთხოდნენ მზეს.

**შემთხვევითი არ არის, რომ ხერკე/ხირკე (ჭურისგან დამზადებული ხაპერა, კოპე) ჩვენი მარნების უცილობელი ინვენტარი იყო და ასე რჩება ეს ბევრგან დღემდე. ხირკეს — კოპეს მზე შეჰქონდა ქვევრის ღვინოში, იგი, როგორც მზე, სპობდა ღვინის დამჟანგავ ოზს, ამავე დროს ეს იყო დადასტურება მზისთვის იმისა, რომ ეს ქვევრი ისედაც მისი კუთვნილი იყო და არ სჭირდებოდა თავისი ხელი — ე.წ. ბჟაშ ხე — მზის ხელი — დაეჩნია მისთვის მძმარავი ჟანგის, აპკის სახით.**

სხვათა შორის, მარნისთვის განკუთვნილ ხერკეს გარეთ არავინ გაიტანდა და შიგ მარანშიც არ იხმარდა ხელზე წყლის გადასავლებად მლოცველი თუ მარნის პატრონი — ესეც მისი სტერილობისთვის და ღვინის დასაცავად ხდებოდა, წყლის კოპესგან — წყარიშ ხერკესგან განსხვავებით, რომლის სტერილობაზე ნაკლებად ზრუნავდნენ და დღე და ღამე ეკიდა ჭის თუ წყაროს თავზე შინაურთა თუ გამვლელთა (მათ შორის ალიან-ჩალიანის) სახმარად.

მაგრამ თუ გოგრა, უპირველეს ყოვლისა, ფორმის სიმრგვალით მოაგონებს ადამიანებს მზეს, რატომ კიდებდნენ მეგრული ჯარგვლის წინკარში (ჯარგვალიაშ აბარწას) ჭურას (ხაპერას), რომელიც მკვეთრად განსხვავდებოდა ფორმით გოგრისგან, რომელიც მრგვალია ან ოვალური (ისიც სიმრგვალესთან მიახლოებული ფორმისა — ნაკლებად განზიდულ — წაგრძელებული), ჭურა, ხაპი კი — თავში ან წელში გაწვრილებული. მაშ, სად არის მთავარი ნიშანი, რომელიც მეგრელის თვალში ჭურას ფორმითაც აახლოებს მზესთან?

საქმე ისაა, რომ არამარტო მეგრელებში, ბევრ სხვათა საზრისშიც წელში გაწვრილებული ჭურა ორი მზის — მიღმიერისა და ამქვეყნიურის — ერთიანობას განასახიერებს და ქვიშის საათის მსგავსად არის ზედა და ქვედა სამყაროების ერთარსობის სიმბოლო.

**უფრო მეტიც, თუ გოგრა მოკვდავთა მზეა, ჭურა მთელი წელი, ბუნების დროებითი კვდომის დროსაც წინკარში რჩება ახალი მოსავლის შემოსვლამდე ანუ ინარჩუნებს უწყვეტ ციკლს ჯარგვლის ბინადართა ავი თვალისა და ავადობისგან დაცვაში (რაც მისი „ვიწრო სპეციალიზაციაა”) ხოლო გოგრა იქ დროებით კიდია — „წინანდღის“, „წაკურთხიას“ შემდეგ უნდა შეიჭამოს, რადგან ყინვები აზრობს, დალპობას იწყებს, მზის სახლის წახდენა — წაყონება კი ვაშინერს, ცოდვაა.**

ჭურას პირდაპირ დანიშნულებაზე — ავი თვალისა და წყლის მონახდომისაგან (უბადო თოლშე დო წყარიშ მუნახვამილეფშე) დაცვაზე ფრიად მკაფიო მინიშნება გვაქვს რიტუალში, რომელსაც „წყარიშ გოჭოფუას” (წყლის შეკვრას) უწოდებენ.

ადამიანს, რომელსაც წყლიდან რაიმე ავადმყოფობა ამოყვებოდა, მიიყვანდნენ იმ ადგილას, სადაც მას ავადმყოფობა შეეყარა, აიღებდნენ ცულს, მისი პირით ამოიღებდნენ წყალს, ამოგულულ ჭურაში ჩაასხამდნენ და იტყოდნენ: **„თე ლახალა თეშ დასქირე, მუჭო თე წყარ ჭურასია“** (ეს ავადობა ისე გააქარვე, როგორც წყალი ჩაშრეს ჭურაშიო). შემდეგ წყლით სავსე ჭურას საკიდელზე — ლანჭაზე, შუაცეცხლის თავზე ან სანთაზე ჩამოკიდებდნენ და წყალიც სწრაფად შრებოდა. ითვლებოდა, რომ იგი, როგორც მზის, მზის „თბეს“ შემნახავი, იოლად მოერეოდა და აართქლებდა მასში გამომწყვდეულ წყლის სულს, წყლის ჟამს.

ამ რიტუალს განსაკუთრებული გულმოდგინებით ასრულებდნენ ჭაობიან ადგილებში მცხოვრებნი, მალ-



**გოგრის ხორცში (კობეშიაშ ძელი) მოთავსებული თესლ-ბლონდი (ბანდლი დო თასი) იყო ნიშანი, რომლითაც მას ამსგავსებდნენ დედის საშოს და მასში მოთავსებულ თესლს. შესაძლოა წმინდა პრაქტიკულ მოსაზრებასთან ერთად ესეც იყო გოგრის დაჭრის ძველი წესის საფუძველი, რასაც დღემდე ვიცავთ, როცა მას კეისრულად, ოთხზარულად (ოთხოზორულო) ვაპობთ და შემდეგ ვანაწევრებთ უფრო პატარა ნაჭრებად**



**გოგრის, როგორც მზისა და ნაყოფიერების, კოსმოსის სიმბოლიკა განსაკუთრებით კარგად ჩანს გოგრის დათესვის რიტუალში, რომელიც ადრე უსათუოდ დიდ ხუთშაბათს, ცის დღეს — ცაშხადიდს იმართებოდა. ცაშხადიდი ცის, კოსმოსის დღე იყო, გოგრა — კოსმოსის მთავარი მნათობის, მზის სიმბოლო, და, შესაბამისად, სწორედ ამ დღის არჩევანში დევს ამ რიტუალის სიმბოლური და მისტიური ხასიათი**

## კობეშია/კოპეშია — გოგრა მეგრული რიტუალური მისტერიებისა და ყოფის ერთ-ერთი მნიშვნელოვნი ატრიბუტია. ეს უკავშირდება უძველეს რწმენა-წარმოდგენებს იმის შესახებ, რომ ღმერთები მზეს გოგრაში ინახავდნენ (კობეშიას მიშატყობინუანდეს). არის რაღაც კავშირი მზიანი ღამის სიმბოლოსა და გოგრაში შენახულ-დაფარულ მზეს შორის. სხვათაშორის, ჭურა ქრისტიანულ ეპოქაში უკავშირდება აღდგომის სიმბოლიკას და არქანგელოზ რაფაელისა და წმიდა იაკობ დიდის ატრიბუტია ქრისტიანულ იკონოგრაფიაში. იქნებ, ამიტომაც არის მოხარშული გოგრა ჩვენი სალოცავი ტაბლებისა და საკურთხის აუცილებელი ნაწილი

არიისგან დატანჯული ადამიანები, სანამ ხინაშ ჯას — ქინაქინის ხის არსებობას გაიგებდნენ და, მით უფრო, წამლებზე მიუწვდებოდათ ხელი.

თუ საზოგადოდ გოგრას დავუბრუნდებით, მზესთან მისი კავშირის მანიშნებელია იდიომა „ყუჯიქ კობეშიაშ ფურცელცალო გინმართ”. ყური გოგრის ფოთლისხელა გამიხდაო, იტყვიან, როცა რაღაც მოულოდნელსა და გასაოცარს გაიგებენ. ამასვე იტყვიან კაცზე, რომელმაც ცნობისწადილი დაიკმაყოფილა და რაღაცის გაგონება სცადა და შეძლო. საქმე ისაა, რომ გოგრა — მზე კი ყოვლადგანმყოფია, ყოვლისმხედველი და მცნობი, და მის ყურს ყველაზე დაფარულიც არ გამოეპარება, გოგრის ფოთილივით ფართო ყური მეტს იტევს, ვიდრე კაცის ჩვეულებრივი ღინჭილია ( ყურის ნიჟარა).

არის სხვა, არცთუ შორს მიმავალი ვარიანტი ამ იდიომისა — „ქიანას თეზმა სარკოს ვეფრჩქილედენ, ყუჯ კობეშიაშ ფურცელიშ მაფართათ გინმართუდუა“ — ქვეყანაზე ამდენი გაუგონარი რამ რომ არ ხდებოდეს, ყური გოგრისფოთლისხელა გამიხდებოდაო — იგულისხმება, რომ ნეგატიური ამბები ხალისს უკარგავს და აჭკნობს ყურს, ყურის ნიჟარას, ახშობს მის უნარს ამდენი ნეგატივის ფონზე აღიქვას კარგი ამბებიც.



**რაკი, ნეგატივს შევეხეთ, „მუჭო ჭურა კოზეშიაშა ქუგუნია დუდი“ (რა ხაპერას მიუგავს თავიო) იტყვიან კაცზე, რომლის სირეგვნეს უნდათ გაუსვან ხაზი. არის ამ იდიომაში პირდაპირი კავშირი გოგრის მყარ ქერქსა და ადამიანის თავის ქალას შორის შეუვალობის თვალსაზრისით, მით უფრო, თუ ერთი გამოგულულია, მეორე უტვინო, მაგრამ ნეგატიური ელფერი ამ შედარებისა უფრო ღრმა შრეებში იღებს სათავეს — ეს ნეგატივი იმ დროის მიერ არის მოტანილი, რომელიც წარმართულ რწმენა — წარმოდგენებს დაუპირისპირდა და მნათობების თაყვანისცემა და ძველი ნატურფილოსოფია დაამცრო.**

**კიდევ უფრო ღრმა შრეებიდან მოდის საგინგლაო საფრთხობელა, როცა ბავშვს აშინებენ — ბაბუაშენი გოგრად ქცეულა და ღორს შეუჭამიაო („სქან ბაბუ კოზეშიათ გინორთელე დო ღეს უჭკომუნია“).**

მეც ვუტირებივარ მწარედ ასე ჩემს მერკულელ მეზობელს — შახის, რომელიც ახლა სენაკის ლტოლვილთა სასაფლაოზე განისვენებს. მან შესაძლოა იცოდა ან არ იცოდა, რომ გოგრა — მზისა და მისი თაყვანისმცემლის შეჭმა ტახის მიერ სხვა არაფერია, ვიდრე სხვა და სხვა სტიქიების, სხვა და სხვა ღმერთების ბრძოლის ანარეკლი წარმართულ რწმენა — წარმოდგენებში.

მოდით, ჩვენ მაინც „მშობლიურ მდინარეებზე ღამის წყვდიადში ამაყად მოცურავე მზე — გოგრების — პლანეტების ალლუმს“ (ალიო ქობალიას პოეტური სტრიქონებიდან) და მეგრული ჯარგვლების წინკარებში დაკიდებულ ჭურებს დავუბრუნდეთ, და, რა თქმა უნდა, ქვევრის ღვინის ჭანგისაგან დამცავ კოპეს-ხერკეს.

ხომ ძალიან მშობლიური, ნაივური სილამაზეა. მაგრამ იქნებ, არც არის მარტივი?



**შემთხვევითი არ არის, რომ ხერკე/ხირკე (ჭურისგან დამზადებული ხაპერა, კოპე) ჩვენი მარნების უცილობელი ინვენტარი იყო და ასე რჩება ეს ბევრგან დღემდე. ხირკეს — კოპეს მზე შეჰქონდა ქვევრის ღვინოში, იგი, როგორც მზე, სპობდა ღვინის დამჭანგავ ობს, ამავე დროს ეს იყო დადასტურება მზისთვის იმისა, რომ ეს ქვევრი ისედაც მისი კუთვნილი იყო და არ სჭირდებოდა თავისი ხელი — ე.წ. ბჟაშ ხე — მზის ხელი — დაეჩნია მისთვის მძმარავი ჭანგის, აპკის სახით**

მურთაზ ჯანჯღავა

## ბუნების კვინტესენცია

ბავშვობამ გამომაცილა
ოქროს ასაკის მეზორნემ.
წლებო, რა მოკლე ყოფილხართ,
მე რომ ხანგრძლივი მეგონეთ.

რა სწრაფად მიიძურწებით,
არა გაქვთ ტაიმაუტი;
უმოწყალოდ მიმაქროლებთ
ფინიშისკენ ნოკაუტით.

რა ვთქვა იმ გაფრენილ წლებზე,
ზოგ უკუღმართ, ზოგ წაღმაზე;
ბევრჯერ თავს, რომ მახსენებენ
ჩემი ცხოვრების დაღმართზე.

ის ბიჭუნაც აღარა ვარ,
წლებმა ხელი დამიქნია;
წარსულზე, რომ დვფიქრდები,
ვიტყვი, მე ეს არ მიქნია.

ტვინს მიბარდნიან ფიქრები
ვითარცა თოვლის ფიფქები;
წარსულში დაჯარიმების
მომდის და მომდის ფიქრები.

საკითხი ხანდაზმულია
არ ღებულობს მოსამართლე;
ხმა ვისთან ამომეღება,
სოფლის ვალი როცა მმართებს.

ბუნების დიალექტიკა
თავის ჭადრაკს გვათამაშებს;
ზოგს რომ სულ ამუდმივქიშებს,
ზოგსაც, რა დროს გვაშამათებს.

ბუნების დიალექტიკა
პირამდე სავსე ფარსებით
სიცოცხლეს რომ გვიშხამავს
უსამართლობის არსებით.

ტვინი ბრძანებას იძლევა
პულტიდან ინსტიქტის კოდით;
რაც არის გენიალური
ბუნების გზავნილი ქვოტით.

ტვინი ბუნების კვერცხია
აზრების გამომჩეკავი;
ის ჩვენი გენერალია
ყველაფრის გამომჩხრეკავი.

კოგნიტიუმის სერვერში
გენების ინფორმაცია
ხილვად გვაქვს ტვინის ეკრანზე,
ფაქტებად დრომ რომ აქცია.

ადეფტთა ბიოსაათი
ვით ვარსკვლავთ კონსტილაცია
დროზე იძლევა სიგნალებს,
არ ახლავს კონსპირაცია.

ბუნების გენეტიკაში
ზის მისი შიზოფრენია;
მისი გენების პროგრამა
ყველაფრის მიმომფრენია.

რამდენი ქრომოსომა ზის
ბუნების გენეტიკაში;
ვინ არის მისი დამთვლელი
მის სიგრძე-გან ვერტიკალაში.

რა ტვინები და რა ცოდნა,
რა ხმებია დამარხული;
კაცთა მოდგმის ისტორია
მრუდედ არის დანახული.

ადამიანი ბუნების
გენური ანალოგია;
მისი სახე და სარკეა,
მწყობრად ასე რომ მოდიან.

ყველა სულიერს მიეცა
სიცოცხლის ზღვრული ასაკი;
კაისშვილს ეს არ ეხება,
გამოცანაა მართლაც კი.

ბუნების ინჟინერიის
კონვეირზე ცდომილება
თვით უშვებს უზენაესი
გადახრის წესით ცოდვილებს.

ბუნება გაჭაღარავდა,
ძარღვებშიც სისხლი უშრება.
არული მის უძლებ შვილებს,
რასაც კი ის მას უშვრება.

სამყაროს დიალექტიკა
ფუნქციით აგრე სწორია;
არსებობისთვის ბრძოლაში
ინსტიქტი აგრესორია.

დემიურგისგან ხელდასმით
ბუნება იანუსია.
კეთილისა და ბოროტის
მუდმივი დამლა უსვია.

ბუნების კონსტიტუცია
ოთხთა კავშირის აქტია;
გრავიტაციის ფუნქცია
კვინტესენციის ფაქტია.

ფერადი სმენა შემგრძნეა
ფერების ნოტის, ბგერის, ხმის;
სინესთეზის სფეროა,
რასაც სხვაგვარად ვერვინ ხსნის.

ხილვა, მაცნეა მოსახდენ
ამბავთა გარანტირების,
რჩეულთა გენში მთვლემარე
ბუნების ნარატივების.



**დავით გურამიშვილი**

# ვაი რა კარგი საჩინო...

ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნიესო!
ბოროტისაგან კეთილი შურით ვერ განარჩიესო,
მაცხოვნებელი შენ მათი წამწყმენდლად მიგიჩნიესო,
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!

ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნიესო!
ღვთის საიდუმლო გაგტეხეს, გულში ვერ დაგიტიესო,
ოცდაათ ვერცხლად გაგყიდეს, ისიც კი განაბნიესო,
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!

ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნიესო!
შეგიპყრეს თვისი დამხსნელი, საბელი მოგახვიესო;
მაგრა შეგიკრეს ხელები, უფალსა არა გთნიესო,
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!

ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნიესო!
ავაზაკზედა გაგცვალეს, ბარაბა მათ ირჩიესო;
ურიგო სიტყვა შეგკადრეს, გაგლანძღეს, გაგათრიესო,
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!

ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნიესო!
ფრჩხილთა გიყარეს ლერწამი, ნუნები აგატკიესო,
ყვრიმალს გცეს თვალებ-აკრულსა.
გკითხეს: ვინ გცემა, თქვი ესო?
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!

ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნიესო!
ბრალი ვერ გპოვეს, დაგსაჯეს, პილატე მოგისიესო,
ბრალობის სისხლი თავზედა შვილითურთ გარდინთხიესო.
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!

ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნიესო!
ხელ-დაბანილთა შოლტით გცეს, მსხვერპს სისხლი შეურიესო;
დაგადგეს ეკლის გვირგვინი, გოლგოთას მიგიწვიესო,
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!

ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნიესო!
შესამოსელი გაგხადეს, ქლამინდი მოგახვიესო!
ჯვარზედ გაგაკრეს. ხელ-ფეხთა ლურსმანი გაგიწიესო,
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!

ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნიესო!
წყალი ითხოვე, მოგართვეს, ძმარში ნაღველი რიესო;
წმინდასა შენსა საღმრთოსა გვერდსა ლახვარი მიესო,
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!

ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნიესო!
მოგკლეს უბრალო ბრალითა, ქვეყანა შეარყიესო;
მზე დანაბნელეს, მთვარეცა, ვარსკვლავნი დააფრქვიესო.
თავს კრეტსამბელი განაპეს, ბოლომდი შუა ხიესო.

ჯვარით გარდმოგხსნეს, წაგგრაგნეს, ტილოში წაგახვიესო:
დაგმარხეს, მკვდარსაც არ გენდვნენ,
გარს მცველი შემოგხვიესო.
ჰქმენ სულგრძელება მათზედა და დასთმე შენ ჩვენთვის ესო!
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!



ჰქმენ სულგრძელება მათზედა და დასთმე შენ ჩვენთვის ესო!
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!

ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნიესო!
არ ვიცი, რად ქნეს უგბილთა, ავი რა შეგამჩნიესო?
მკვდარს აღუდგენდი, კურნავდი კეთროვანს, წყალ-მანკიერსო;
ბრმას თვალთ უხელდი, ცისცისად არჩენდი ეშმაკიერსო.

უტყვს ენას ძლვნიდი, ყრუს — სმენას,
საპყართა — სვლას შვენიერსო,
პურს მცირეს დიდად, წყალს ღვინოდ უქცევდი, — ჭამე, სვი ესო.
ამის მეტს არას ეტყოდი: ესევდით ღმერთს ზეციერსო!
მშვიდად ცხოვრებდით, ნუ უზამთ ერთმანეთს თქვენ უდიერსო!

განიკითხევდით გლახაკთა, ასმევ-აჭმევდით მშიერსო;
რასაც კეთილს იქმთ, ღმერთი თქვენ მოგაგებთ მის მაგიერსო!
ორსავ გზას წრფელს წინ უდებდი: ხორციელს და სულიერსო.
ამის სანუფქოდ შენ მათა სიკვდილსა შეგამთხვიესო!

ჰქმენ სულგრძელება მათზედა და დასთმე შენ ჩვენთვის ესო!
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!
ჰქმენ სულგრძელება მათზედა და დასთმე შენ ჩვენთვის ესო!
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!“





## სამძიმარი



ცნობილ საზოგადო მოღვაწეს, ბატონ გიორგი (ტუღუ-ში) სახოკიას თანაგრძნობას ვუცხადებთ მეუღლის, ქალბატონ მარინა ჯიჯეიშვილი-სახოკიას გარდაცვალების გამო.

უფალმა სასუფეველი დაუმკვიდროს განსვენებულის სულს.

ღორონთქ განათას დო ოჩხონუას ოსურპატგნი მარინაში შური.

სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ სახელით,
**ზურაბ კვარაცხელია**,

გაზეთ „ილორის“ რედაქტორი, **ეკა ნასყიდაშვილი**

## სასწაულმოქმედი პრეპარატები «დომენტოლი» და «გაგენოლი» მუდამ იქნებიან თქვენი ჯანმრთელობის სამსახურში




დომენტი გაგნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტულ სკლეროზს და შიდსს, შველის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში. C-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს და სხვა მრავალ დაავადებას.

მკურნალის საქმეს წარმატებით აგრძელებენ მისი შვილები: ზეზვა და დოდო.

კოორდინატები: თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო „ისანთან“), ყოველდღე — 10-დან 16 საათამდე.

**ტელ: 593-22-66-51; 593-62-28-48**

**მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან**

ISSN 1987-8966 „ილორი“

რედაქციის მისამართი:
თბილისი,
ბაქრაძის ქუჩა №6
234-32-95

მთავარი რედაქტორი: ეკა ნასყიდაშვილი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების
სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.
ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს
ელ.ფოსტით: gazeti-ilori@mail.ru (ან ლაზერის დისკით).

გაზეთ „ილორის“
გაცნობა
შეგიძლიათ
„საქინფორმის“
ვებგვერდზე
www.saqinform.ge